

բՈՅԱԲՈՆ ՅՈՒԵ



აჯარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგანძო
Cultural Heritage Preservation Agency of Ajara



დავით მინდორაშვილი
DAVID MINDORASHVILI

ხიქანის ციხე KHIKHANI FORTRESS

ბათუმი 2019 BATUMI

უაკ (UDC) 94+902.6+(7.072)(479.22)
ა-688

ნაშრომში წარმოდგენილია მაღალმთიან აჭარაში, აჭარა-შავშეთის სა-ზღვარზე მდებარე ხიხანის ციხეზე 2013-2017 წლებში ჩატარებული არქეოლო-გიური გათხრების შედეგები, რომლებმაც საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის შესახებ. გათხრებმა გა-მოავლინა რამდენიმე ნაგებობა, რომელთა შესახებ მანამდე არაფერი იყო ცნო-ბილი ხიხანის ისტორიის მკვლევართათვის. ახალმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა და გადაწყვიტა ციხის ისტორიის მანამდე ბურუსით მო-ცული არაერთი საკითხი. გათხრების შედეგად გაირკვა ცალკეულ შენობათა თა-რიღები და მათი ფუნქცია, დაზუსტდა ციხის ქრონოლოგია და ა. შ.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ხელოვ-ნებათმცოდნებისთვის და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესე-ბული მკითხველისთვის.

რედაქტორი — პროფესორი მერაბ ხალვაში

რეზიუმე ინგლისურად თარგმნა ნინო გაბუნიამ



ISBN 978-9941-9641-9-0

შ ი ნ ა ბ რ ს ი

შესავალი	5
I. წერილობითი ცყაროები ხისანის ციხისა და აგუსტინისძეთა საგვარეულოს შესახებ	9
II. ხისანის ციხის შესწავლის ისტორია	12
III. განვითარებული შუა საუკუნეების განათხარი ნაგებობები	18
IV. გვიანდებული შუა საუკუნეების განათხარი ნაგებობები	30
V. არქეოლოგიური მასალა გამოყვანებული ლიტერატურა ტაბულების აღწერა	36 41 44
ხისანის ციხე (ინგლისური რეზიუმე)	49
ტაბულები	57



შესავალი

მაღალმთიან აჭარაში, არსიანის ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე, ხიხანისწყლის მარცხენა მხარეს, აჭარა-შავშეთის საზღვარზე მთებით გარშემორტყმულ მაღალ კლდეზე აღმართულია ხიხანის ციხე (ტაბ. 1-4). ის ყველა მხრიდან მიუდგომელია. ერთადერთი, ისიც საკმაოდ რთული მისასვლელი ციხეს თავის დროზე ჰქონდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. თუმცა, მისი სიშორის გამო, ამ ბილიკით დღეს არავინ სარგებლობს. ამჟამად ციხეზე ასვლა შესაძლებელია დასავლეთ ფერდზე 2001 წელს გაკვალული ბილიკით.

ბილიკის დასაწყისში დადგმული ბანერით ციხეზე ამსვლელი მოკლე ინფორმაციას იღებს ხიხანის ციხის შესახებ. ამის შემდეგ იწყება რთული და მომქანცველი აღმართი ნაძვებით დაფარულ კლდეზე. კლდის წვერთან მიახლოვებისას პირველად ერთი, პატარა ნაგებობა, მის ზემოთ კი სწორკუთხა გეგმის კოშკი (№4) შეგხვდებათ, მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. მნახველმა კიდევ 200-ოდე მეტრი უნდა იაროს ზევით და როდესაც შემაღლებულ ბორცვზე მდებარე მეორე კოშკი (№3) მიადგება, ოთხივე მხარეს თვალწინ გადაეშლება საოცრად მომხიბვლელი ხედები (მათგან ზოგიერთს მკითხველი ტექსტში ჩართული ფოტოებით იხილავს). ციხეზე ასულს მაშინვე გავიწყდება ხანგრძლივი და მომქანცველი გზისგან გამოწვეული დაღლა.

ციხე აგებულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით წაგრძელებულ კლდის თხემზე. მისი სიგრძე უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე №1

კოშკიდან ვიდრე №4 კოშკის დასავლეთით არ-სებული გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობამდე 350 მეტრია (ტაბ. 72).¹ სიგრძესთან შედარებით სიგანეში ციხე საკმაოდ ვიწროა (15-30 მ). ძველი მონაცემებით ხიხანის ციხის სიმაღლე ზღვის დონიდან განსაზღვრული იყო 2600 ან 2635 მეტრით [სახოკია თ. 1950:220; ახ-ვლედიანი ხ. 1955:40]. თანამედროვე გაზომვებით, ციხის ყველაზე მაღალ ნიშნულთან, კერძოდ №2 კოშკთან, ეს სიმაღლე 2236 მეტრს აღნევს.

ციხე აგებულია უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას. ის აკონტროლებდა რამდენიმე სავაჭრო-საქარავნო გზას, რომლებიც სწორედ ხიხანის ციხის მიდამოებში იყრიდნენ თავს. სოფ. თხილვანასა და ბაკოზე, რომლებიც ციხესთან ყველაზე ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტებია, გადიოდა საქარავნო გზა ახალციხისკენ. სოფ. კალოთასა და ჩიხურაზე გზა გადიოდა შავშეთისკენ. ხოლო ახალციხე-არტაანიდან ხიხაძირის გავლით გზა ბათუმისკენ მიემართებოდა. თავისი მასშტაბით ხიხანის ციხე სრულიად სამართლიანად არის მიჩნეული აჭარისწყლის აუზის საფორტიფიკაციო სისტემის მეთაურ ციხედ [მამულაძე შ. 1993:49].

ციხის ზედა ტერასა — ციტადელი წარმოადგენს ზღუდის კედლით გამაგრებულ კომპლექსს, რომელიც აერთიანებს №1 და №2 კოშკებს, მარანს, ჭას, ეკლესიას და რამდენიმე პატარა შენობას (ტაბ. 2-6, 72). ციხის ნაგებობათა განლაგება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ჩრდილო-დასავლეთით ამგვარია: №1 კოშკი

1 თავის დროზე ხ. ახვლედიანმა კოშკები ციხის ჩრდილო-დასავლეთი წერტილიდან ათვალი. არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას და ციხის გეგმის კორექტირებისას კოშკები და ფალკეული ნაგებობები ხელახლა დაინომრა. ამდენად, ხ. ახვლედიანისეული №1,2,3,4 კოშკი, ნაშრომში წარმოდგენილია როგორც №4,3,2,1 კოშკი.

(კონდიციატები: X 0296965; Y 4601642) დგას ციხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირო ნაწილში. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით კირდულაბზე. გეგმით მართკუთხაა. კუთხეები ამოყვანილია ქვათლილებით. შემორჩენილია მესამე-მეოთხე სართულების სიმაღლემდე. კოშკის სამხრეთი ნახევარი ქარაფშია ჩაქცეული. სრულად შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი, რომლის სიგანე საფასადე მხრიდან 7,40 მეტრია (ტაბ. 5, 72₁).

№1 კოშკიდან ჩრდილო-დასავლეთით, 23 მეტრის დაშორებით, №1 და №2 კოშკს შორის კლდის ნატეხი ქვით, მშრალი წყობით ნაშენი ბუხრიანი ნაგებობაა (კონდიციატები: X 0296955; Y 4601665). ის გეგმაში კვადრატს უახლოვდება (ტაბ. 50-52, 72₂₀, 78). კედლები მინის პირამიდეა დანგრეული.

აღნერილი ნაგებობიდან სამხრეთ-დასავლეთით, 20 მეტრის დაშორებით მდებარეობს მარანი (კონდიციატები: X 0296944; Y 4601685). მისი კედლები ნაშენია კლდის ნატეხი ქვით კირდულაბზე. შენობის ინტერიერში გათხრებამდე შეინიშნებოდა რამდენიმე ქვევრი (ტაბ. 35-41, 72₇, 75₁₋₃).

ბუხრიანი ნაგებობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 7,20 მეტრის დაშორებით (კონდიციატები: X 0296959; Y 4601673), ციხის საკმაოდ დაქანებულ ფერდზე, რომელიც დაფარული იყო არყის ხეებითა და მაღალი ბალახით, ექსპედიციამ მიაკვლია მშრალი წყობით ნაგებ მანამდე უცნობ ნაგებობას (ტაბ. 53-55, 72₂₁, 79).

კოშკი №2 დგას №1 კოშკიდან ჩრდილო-დასავლეთით 50 მეტრის დაშორებით (კონდიციატები: X 0296945; Y 4601688). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით, კირდულაბზე. გეგმით სწორკუთხაა. მესამე სართულის დონემდე შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები. კოშკის დანარჩენი ნაწილი დანგრეულია. გადარჩენილ ორივე კედელში პირველი სარ-

თულის დონეზე თითო სწორკუთხა სარკმელია ტრაპეციული წირთხლებით. ერთი ასეთივე სარკმელი უნდა ყოფილიყო დასავლეთ კედელზეც, მეორე სართულის დონეზე. თუმცა, კედლის ეს ნაწილი ჩამონგრეულია და მხოლოდ სარკმლის ჩრდილოეთი წირთხლის გარჩევა შეიძლება. კოშკის ჩრდილოეთ კედელზე, პირველ და მეორე სართულს შორის შეინიშნება სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები. მესამე სართულის დონეზე, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე თაღოვანი სარკმელია (ტაბ. 6, 72₂).

დარბაზული ეკლესიის ნაგრევები შემორჩენილია №2 კოშკიდან დასავლეთით, 41 მეტრის დაშორებით (კონდიციატები: X 0296927; Y 4601723). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით კირდულაბზე. შესასვლელი უნდა ჰქონოდა სამხრეთიდან და შესაძლოა დასავლეთიდანაც. ამ ნაწილებში კედლები იმ დონემდეა დანგრეული, რომ კარის ლიობების ზუსტი ზომების დადგენა ვერ ხერხდება. კედლების დანარჩენი ნაწილები შემორჩენილია 0,40-1,50 მეტრ სიმაღლემდე (ტაბ. 9-18, 72₈, 76).

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან სამხრეთით 1 მეტრის დაშორებით მდებარეობს ბუხრიანი ნაგებობა (კონდიციატები: X 0296927; Y 4601738). შენობა კვადრატული გეგმისაა. ნაგებია ეკლესიის ნაგრევებიდან აღებული კარგად დამუშავებული ქვათლილებით. წყობა მშრალია. მის სამხრეთ კედელს წარმოადგენს გალავანი, რომელზეც შეინიშნება გადახურვის საყრდენი კოჭების ბუდეები (ტაბ. 63-65, 72₂₂).

ეკლესიიდან დასავლეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით, გალავანზე მიშენებული კვადრატული გეგმის მშრალი წყობით ნაშენი პატარა ნაგებობაა (კონდიციატები: X 0296927; Y 4601719) (ტაბ. 62₁₋₂, 72₁₃).

№2 კოშკიდან სამხრეთით 50 მეტრის დაშორებით, ზღუდის გარეთ, დამრეც ფერდობზე მდებარეობს კლდის ფლეთილი ქვებით მშრა-

ლად ნაგები ბუხრიანი შენობის ნაშთი (კოორდინატები: X 0296902; Y 4601675) (ტაბ. 57, 58, 72₂₃, 80₁).

ამავე კოშკის სამხრეთ-დასავლეთით ხუთიოდე მეტრის დაშორებით (კოორდინატები: X 0296932; Y 4601692) მშრალი წყობით ნაგები გვიანდელი შენობაა გამართული (ტაბ. 66₁, 72₁₄, 85₁).

№2 კოშკიდან დასავლეთით ქვით ამოშენებულ ჭამდე, გათხრებამდე შეინიშნებოდა სწორკუთხა ფორმის ჩავარდნები (ტაბ. 3). გათხრების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა 43 ქვევრიანი მარანი და მასზე მოგვიანებით გამართული მშრალი წყობით ნაგები ბუხრიანი შენობა (კოორდინატები: X 0296927; Y 4601698) (ტაბ. 28-34, 59, 72_{6,24}, 75₄₋₅, 80₂).

ჭა წარმოადგენს კლდის ნატეხი ქვით კირდულაბზე ნაშენ წრიული გეგმის ნაგებობას, რომელიც ფუძესთან განიერია, პირისკენ კი რამდენადმე ვიწროვდება. მისი სიღრმე 6 მეტრია, პირის დიამეტრი — 1,40x1,50 მეტრი (კოორდინატები: X 0296943; Y 4601711) (ტაბ. 72₁₀). ჭა ციხის თავდაპირველი მშენებლობის დროინდელი ჩანს და ერთ-ერთი ადრეული ნაგებობა უნდა იყოს.

ჭიდან სამხრეთით 1 მეტრის დაშორებით შემორჩენილია მშრალი წყობით ნაშენი ოვალურკედლიანი ნაგებობა, რომელიც ზღუდეზეა მიღებული (ტაბ. 42, 43₁, 72₁₂, 77).

ციტადელის გალავანი ამჟამად ადგილ-ადგილ მიწის პირამდეა დანგრეული, ზოგიერთ მონაკვეთზე კი (ეკლესიიდან სამხრეთითა და დასავლეთით) ის 4-5 მეტრ სიმაღლემდეა შემორჩენილი (ტაბ. 2-4, 72₉). ეკლესიიდან ჩრდილოეთით, აგრეთვე №1 და №2 კოშკებს შორის მდებარე მონაკვეთზე, როგორც ჩანს, გალავანი ფერდობის ჩაქ-

ცევის შედეგადაა განადგურებული ისე, რომ მისი კვალი აღარაა შემორჩენილი.

ეკლესიიდან დასავლეთით 15-20 მეტრის დაშორებით გალავნით შემოზღუდული პირველი (ზედა) ტერასიდან (ტაბ. 22) რელიეფი მკვეთრად ეშვება დასავლეთისკენ. 7-10 მეტრი სიმაღლის ფერდობის ძირიდან ციხის მეორე ტერასა იწყება. ის წარმოადგენს უნაგირისებურ დავაკებას, რომლის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დგას სასახლე, ხოლო უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, შემაღლებულ ბორცვზე №3 კოშკია აღმართული.

სასახლე ციხის ყველაზე დიდი ნაგებობაა (კოორდინატები: X 0296895; Y 4601756). შენობა სანახევროდ მიწით იყო დაფარული. თუმცა, კედლების ნაწილი და სასახლის ორი კარი გათხრებამდეც კარგად ჩანდა (ტაბ. 12, 19-27, 72₅, 74). სასახლეს ეტყობოდა გვიანდელი გადაკეთებების კვალი. სასახლის გაუქმების შემდეგ მის ინტერიერში გაუმართავთ მშრალი წყობით ნაგები ბუხრიანი შენობა (ტაბ. 44-47, 72₁₈, 74). ასეთივე ნაგებობა სასახლის აღმოსავლეთ კედელზე გარედანაც მიუშენებიათ (ტაბ. 48, 49, 72₁₉, 74).²

სასახლიდან სამხრეთ-დასავლეთით, 21 მეტრის დაშორებით (კოორდინატები: X 0296878; Y 4601774) მდებარეობს მშრალი წყობით ნაგები პატარა შენობა (ტაბ. 66₂, 67₁, 72₁₅, 85₂). შენობის დასავლეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით, ხელოვნურად მოსწორებულ ადგილზე (კოორდინატები: X 0296870; Y 4601790) მშრალი წყობით ნაგები მეორე შენობის ნაშთია შემორჩენილი (ტაბ. 67₂, 72₁₆, 85₃).

№3 კოშკი (კოორდინატები: X 0296846; Y 4601806) ნაგებია კლდის ნატეხი ქვებით კირდულაბზე (ფართობი 5,90x4,70 მ, კედლების სი-

2 სასახლის კონსერვაცია და №3, 4 კოშკების რესტავრაცია ჩატარდა 2016 წელს. სასახლისა და №3, 4 კოშკების აღწერას ყველგან ვიძლევით გათხრებმდე და კონსერვაცია-რესტავრაციამდე არსებული სურათის მიხედვით.

სქე 0,95 მ). კუთხები ამოყვანილია ქვათლი-ლებით. სიმაღლეში შემორჩენილია მესამე სარ-თულის დონემდე. აღმოსავლეთის კედელი მიწის პირამდეა დანგრეული. დანგრეულია სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთიც. ინტერიერში ნანგრევი ქვა-ლორდის მძლავრი ფენაა წარ-მოქმნილი. პირველ-მეორე სართულებს შუა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში და-ტანილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები (ტაბ. 7, 72₃).

№3 კოშკიდან დასავლეთით იწყება ვიწრო და დამრეცი ფერდობი, რომელიც ბუჩქნარითა და ხეებით არის დაფარული. აღნიშნულ ფერ-დობზე №3 კოშკიდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით, კიდევ ორი ნაგებობა გვხვდება.

კოშკი №4 დგას ციხის განაპირას (კოორ-დინატები: X 0296728; Y 4601804). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით კირდულაბზე. სიმაღლეში შემორჩენილია მესამე სართულის დონემდე. მეორე სართულზე სწორკუთხა კარი აქვს (ტაბ. 8, 72₄, 73).

№4 კოშკიდან დასავლეთით, 50 მეტრის და-შორებით, მშრალი წყობით ნაშენი ბუხრიანი შე-ნობაა (კოორდინატები: X 0296679; Y 4601822). იგი ციხის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბოლო ნაგებობაა (ტაბ. 60, 61, 72₂₅, 81).

ციხის აღნერილი შენობების დიდი ნაწილი (კოშკების გარდა) მიწის სხვადასხვა სიმძლავრის ფენით იყო დაფარული. თუმცა, მათი გეგმები ასე თუ ისე მაინც იკითხებოდა. ციხის გათხრებმა ზოგიერთი ისეთი შენობაც გამოავლინა, რო-მელთა შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდით. ასეთ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება 43 ქვე-ვრიანი მარანი; აგრეთვე მარნის თავზე გამარ-თული და ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე მიკვლეული გვიანდელი შენობები და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობებიდან ციხის თავდა-პირველი მშენებლობის პერიოდს განეკუთვ-ნება — ზღუდის კედლები, კოშკები, ეკლესია, სასახლე, მარნები, ჭა (ტაბ. 72₁₋₁₁). ისინი განვი-თარებული შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპის ძეგლებია.

დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ ცი-ხეზე ცხოვრება გვიანდელ შუა საუკუნეებში გა-ნახლდა. იქ გვხვდება მოგვიანო ხანის ნაგებო-ბები, რომელთაგან ზოგიერთი ცალკეა აგებული, ზოგი ადრეულ ნაგებობებში თუ ნაგებობებზე გაუმართავთ ან მათზე მიუშენებიათ. XVII-XIX საუკუნეებშიც ინტენსიურად გამოუყენებიათ X საუკუნის კოშკები. გვიანდელ შუა საუკუნეებში აგებული შენობები ადრეულ ნაგებობებთან შე-დარებით მარტივი გეგმარებით და მშენებლობის მდარე ხარისხით გამოირჩევა.

I. წერილობითი წყაროები ხისანის ცისისა და აგუსტისძითა საზვარებოს შესახებ

ციხის მფლობელი იყო აბუსერისძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ XIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ტბელი აბუსერისძე. აბუსერისძეთა საგვარეულო სამეფო კართან საკმაოდ დაახლოებული ყოფილა. აბუსერისძეთა აღზევება დაკავშირებული იყო იმ მოვლენებთან, რომლებიც მოხდა XI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოში ბაგრატიონ უფლისწულთა გამგებლობის ლიკვიდაციის შედეგად. ლიკვიდირებულ იქნა კლარჯეთის ხელმწიფების, ტაოელი და შავშეთის მეფების მმართველობა და მათივე მფლობელობა სამცხე-ჯავახეთში. ამ მხარების ნაწილი სამეფო დომენად იქცა. მიწების ნაწილი კი მეფემ გადასცა თავის ერისთავებს სამემკვიდრეოდ ან დროებით სარგებლობაში [შოშიაშვილი 6. 1999:6].

წერილობით წყაროებში აბუსერისძეები უკვე XI საუკუნიდან ჩანან. „მატიანე ქართლისა“ 1028/30 წლების ამბების აღწერისას იხსენიებს ერისთავ იოანე აბუსერისძეს — „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოანეს ერისთავსა აბუსერსა“ [ქც 1955:293]. ბუნებრივია, არტანუჯის ციხის მფლობელი ეკონომიკურად დიდად შეძლებული და პოლიტიკურადაც საკმაოდ გავლენიანი პიროვნება უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ ბაგრატ IV (1027-1072 წნ.) სასტიკი ბრძოლები ჰქონდა მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ლიპარიტ ერისთავთან. მას შემდეგ, რაც ბაგრატმა თბილისი დაიკავა (1046 წ.), ლიპარიტი კვლავ აუჯანყდა მეფეს. მან მოტყუებით გამოიყვანა ანისიდან „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყუერის ციხის პატრონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერის ძე, ბეჭის ციხის პატრონი, — და შეიპყრია იგინი ანისის კარსა“ [ქც 1955:300-11]. ამჯერად, არტანუჯის მფლობელი უკვე აბუსერია, შესაძლოა იოანეს შვილი. ჩანს, თხუთმე-

ტიოდე წლის მანძილზე აბუსერისძეთა სამფლობელო საგრძნობლად გაზრდილა და არტანუჯის გარდა, ისინი უკვე ფლობდნენ: ხიხათა (ანუ ხიხანის ციხეს), ციხის-ჯვარსა და აწყუერის ციხეებს [აბუსერისძე ტბელი 1941:18].

შემდგომში ლიპარიტმა ბიზანტიიდან საქართველოში ჩამოიყვანა ბაგრატის ძმა დემეტრე და ის სამეფო კარს დაუპირისპირა. დიდებულთა ნაწილი დემეტრეს მხარეზე გადავიდა, ნაწილი კი მეფის ერთგული დარჩა. რთული ვითარებით კიდევ ერთხელ ისარგებლა ლიპარიტმა და მეფეს მოსთხოვა გაეთავისუფლებინა ივანე ლიპარიტის ძე, რომელიც ბაგრატ IV ჰყავდა მძევლად. სანაცვლოდ ლიპარიტმა გაათავისუფლა მეფის ერთგული „აბუსერი თავის ციხითა მშვიდობით“ [ქც 1955:300₁₇₋₂₁].

სასირეთის ჭალასთან გამართულ მორიგ ბრძოლაში ლიპარიტსა და ბაგრატ IV შორის კვლავ ლიპარიტმა იმარჯვა. „ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებული მის თანა“ [ქც 1955:301-6]. როგორც ჩანს, ამ ამბების შემდეგ აბუსერი მალე გარდაცვლილა და არტანუჯის მფლობელად უკვე მისი შვილი გრიგოლი გვევლინება. არყის ციხესთან მომხდარ შეტაკებაში, სადაც მეფე კვლავ დამარცხდა, ლიპარიტმა შეიპყრო სულა, კალმახის ერისთავი „და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი, და სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა“ [ქც 1955:3021-3]. ამრიგად, სიკუდილით მუქარის გამო გრიგოლ აბუსერის ძე იძულებული გამხდარა ლიპარიტისათვის არტანუჯი დაეთმო. ეტყობა, გრიგოლის ამ ნაბიჯმა აბუსერისძეებს სამეფო კართან ურთიერთობა საკმაოდ გაუფუჭა. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შემდგომში აბუსერისძეებს არა თუ არტანუჯი ვეღარ დაუბრუნებიათ, უფრო მეტიც — ციხის-ჯვარიც დაუკარგავთ. ბაგრატ IV მიერ ლიპარიტზე გამარჯვების შემდეგ 1058/59 წელს,

როგორც ჩანს, არტანუჯი ბაგრატს თავისთვის დაუტოვებია, ხოლო სულა კალმახელისათვის, რომელმაც ლიპარიტი თავად შეიძყრო და მეფეს მიჰვარა, გადაუცია ოძრე, აგრეთვე ციხისჯვარი, რომელსაც მანამდე აბუსერისძები ფლობდნენ. ამრიგად, აბუსერისძეთა ხელში მხოლოდ ზემო აჭარა რჩება. თუმცა, ისინი მაინც ერისთავთ-ერისთავებად იხსენიებიან.

როგორც წყაროდან ირკვევა, აბუსერისძები სამეფო კართან დიდად დაახლოებული, მეფის ერთგული საგვარეულო იყო და მეფის მხარდამხარ იბრძოდა ერთიანი საქართველოსა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის.³ სამეფო კარზე დაწინაურებული საგვარეულო ეკონომიკურადაც საკმაოდ წელლონიერი ყოფილა. ჩანს, ერთგულების სანაცვლოდ მეფე უხვად ასაჩუქრებდა აბუსერისძებს. წყაროს ცნობით, XI საუკუნის პირველ ნახევარში, ისინი ფლობდნენ: არტანუჯს, ციხის-ჯვარს, ანურის ციხეს და რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, ხიხანის ციხეს („ხიხათა პატრონი“) [ქც 1955:300₉₋₁₀].

ციხის ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა არის შემონახული თვით ტბელი აბუსერისძის თხზულებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხიხანი თავის დროზე ყოფილა „მტერთა ზედა გაცემულნი.“ ციხე ღალატის წყალობით მტერს ჩავარდნია ხელში. ტბელის პაპას აბუსერს და მის ძმას სანანოს კვლავ დაუბრუნებიათ ხიხანი „ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაითა“ [აბუსერისძე ტბელი 1941:67]. სამწუხაროდ წყარო არ აკონკრეტებს მტრის ვინაობას. ლევან მუსხელიშვილის აზრით, მტერში უნდა ვიგულისხმოთ თურქები, რომელთაგან ხიხანის ციხის მიტაცება უნდა მომხდარიყო 1190/91 წლებში, როცა კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი გუზან აბულასანის ძე თამარს (1184-1213 წ.). განუდგა. „გუზან ... გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაპარმენისასა“

[ქც 1959:55₁₅₋₁₆]. იმ დროს მოხდა „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“ [ქც 1959:55₂₁, 56]. ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა, რომ სხვა ციხეებთან ერთად, თურქებმა ხიხანიც მიიტაცეს. ციხის გათავისუფლება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტბელი აბუსერისძის პაპას აბუსერს და მის ძმას სანანოს ხვდა წილად [აბუსერისძე ტბელი 1941:16-17].

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის №43 აღაპში, რომელსაც ელენე მეტრეველი XIII საუკუნით ათარიღებდა, მოხსენიებულია ვინმე ივანე აბუსერისძე — „[თუესა ოკდონბე-რსა კვ] ამასვე დღესა აღაპი და წირვაი აბუსერის ძისა ივანესი“. ე. მეტრეველის აზრით, ის უნდა იყოს ტბელი აბუსერისძის მამა, მოკლული თურქების მიერ 1206 წელს ან ტბელი აბუსერისძის შვილი [მეტრეველი ე. 1962:129-130].

მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს აღზევებული აბუსერისძეთა საგვარეულო XIII საუკუნეში უკვე დასუსტებულია და აღარ აქვს ოდინდელი პოლიტიკური გავლენები თუ ეკონომიკური სიძლიერე, ისინი მაინც გვევლინებიან მეტ-ნაკლებად შეძლებულ საგვარეულოდ. ამას მოწმობს 1281/1282 წლის დოკუმენტი — ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის დაწერილი, მიცემული არვანბეგ საბაისძისადმი. მასში აღნიშნულია, რომ ძნელბედობის უამს, კლარჯეთში გახიზულმა დავით მეფემ არვანბეგ საბაისძეს ერთგული სამსახურისათვის უწყალობა კლარჯეთში მდებარე მცხეთის სვეტიცხოვლის სოფელი შეუბანი, რომელსაც „აბუსერეთ საერისთვო და ბეგარი ზედა სდებოდა ...“ [ქართული ისტორიული ... 1984:177-178]. ჩანს, XIII საუკუნის 80-იან წლებში აბუსერისძენი ზემო აჭარის გარდა, კლარჯეთშიც ერისთავობდნენ და სოფელ შეუბანს ბეგარასაც ახდევინებდნენ.

XIV საუკუნეში აბუსერისძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობები იშვიათად მოგვეპოვება. 1352

³ აბუსერისძეთა გენეალოგიის დადგენაში და ტბელი აბუსერისძის სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში დიდ წვლილი მიუძღვით: მ. ბროსეს [Brosset M. 1868], თ. ჟორდანიას [ქრონიკები 1897:111-122], ლ. მუსხელიშვილს [პატარებისძე ტბელი 1941], კ. კეკელიძეს [კეკელიძე კ. 1960:330-331], ი. სიხარულიძეს [სიხარულიძე ი. 1963], ნ. შოშიაშვილს [შოშიაშვილი ნ. 1999:3-12], რ. ხალვაძეს [ხალვაძე რ. 2005:80-89], გ. გოგუაძეს, მ. ქავთარიას, რ. ჩაგუნავას [აბუსერისძე ტბელი 1998], თ. ჯოჯუას, ი. ბერიძეს [ჯოჯუა თ., ბერიძე ი. 2011:221-280] და არაერთ სხვა მკვლევარს [ბიბლიოგრაფია დაწვრილებით იხ. — ჯოჯუა თ., ბერიძე ი. 2011:277-280, აგრეთვე კრ. ტბელი აბუსერისძე 800, თბილისი, 1999].

წლით დათარიღებულ კინკლოსურ მინანერში
იხსენიება ვინმე ივანე აბუსერისძე ყოველგვარი
ტიტულატურის გარეშე [ბერიძე ი. 2010:49; ჯო-
ჯუა თ., ბერიძე ი. 2011:233].⁴ მინანერის მიხედვით
ვიგებთ, რომ ივანე აბუსერისძის სახლში ამ
წელს მიდის ამირსპასალარის და სითიხათუნი
— „აქა მოვიდა აბუსერისძისა ივანეს სახლსა
შიგა / [პატრო]ნისა, ამირსპასარლისა და, პა-
ტრონი სით/[იხათუნ] და მისისა მ(?)[-]მ(?)ა[—
—] სულის[ა] ს(?)[-]ხ(?)[—] / [...]“ [ჯოჯუა თ.,
ბერიძე ი. 2011:233]. მეორე კინკლოსური მინა-
ნერის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირველ
მინანერში მოხსენიებული ამირსპასალარი აღ-
ბულა ჯაყელია [ჯოჯუა თ., ბერიძე ი. 2011:242].
გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ციტირებული
მინანერი უნდა მოვითხოვდეს აბუსერისძე-
ებსა და ჯაყელებს შორის დინასტიური ქორწი-
ნების ამბავს [ბერიძე ი. 2010:51]. შემდგომში
დინასტიური ქორწინების ფაქტი უარყოფილ
იქნა. გაირკვა რომ, სითიხათუნი აბუსერისძეთა
ოჯახის რძალი არ იყო და მისი აბუსერისძეთა
სახლში მისვლა რაიმე სხვა მიზეზით უნდა აიხ-
სნას [ჯოჯუა თ., ბერიძე ი. 2011:255-256]. რო-
გორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი
ნათელია — მიუხედავად გარკვეული სირთუ-
ლეებისა, აბუსერისძენი XIV საუკუნეშიც კვლავ
ასე თუ ისე მაინც გავლენიანი საგვარეულოა.
სხვაგვარად ცოტა რთულია აიხსნას ივანე აბუ-
სერისძის სახლში სითიხათუნის გამოჩენა. ყვე-
ლაფერს რომ თავი დავანებოთ, ის იყო და ისეთი
მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირისა,
როგორიც ამირსპასალარია. ასეთი ოჯახის წე-
ვრები კი მთლად დამცრობილ-დასუსტებულ
საგვარეულოებში არ სტუმრობდნენ.

XV-XVI საუკუნეებში აბუსერისძეები სამცხე-საათაბაგოს თავადები არიან და ექვემდებარებიან სამცხის ათაბაგებს — ჯაყელებს. ერისთავებად ისინი აღარ იხსენიებიან, მაგრამ აქვთ თავიანთი სათავადო სამფლობელო, მონასტრით, კარის ეკლესიით და სასაფლაოთი

[შოშიაშვილი ნ. 1999:8]. ამის შესახებ მოგვითხრობს XVI საუკუნის პირველი ნახევრის მცხეთის საკათალი კოსო საყდრის მამულების ნუსხა, სადაც ნახსენებია, რომ „ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამიდეთა აქუს“. ამას მოსდევს მეორე ცნობა: „აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ [სამხრეთ საქართველოს ... 1961:34]. თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძე და ლევან მუსხელიშვილი ამ ცნობას XIV საუკუნით ათარიღებდნენ, ხოლო ტექსტს ამგვარად კითხულობდნენ: „დიასამიდეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლოითა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“. აქედან გამომდინარე, მათ აბუსერისძენი XIV საუკუნეში დიასამიდეთა ყმადნაფიც აზნაურებად მიიჩნიეს [Бакрадзе Дм. 1878:80; აბუსერისძე ტბელი 1941:23]. შემდგომში ქრისტინე შარაშიძემ გამოაქვეყნა აღნიშნული ტექსტი, სადაც ერთმანეთისგან სრულიად ნათლად არის გამიჯნული დიასამიდეთა და აბუსერისძეთა საკუთრება. ტექსტის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ამგვარად იყითხება — „ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამიდეთა აქუს“. ამ ფრაზას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მოჰყვება დამოუკიდებელი ფრაზა აბუსერისძეთა კუთვნილი სასაფლაოსა და ეკლესია-მონასტრის შესახებ — „აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ [სამხრეთ საქართველოს ... 1961:34]. ასე, რომ მცხეთის საკათალი კოსო საყდრის მამულების ნუსხაში, სრულიადაც არ არის საუბარი აბუსერისძეთა დიასამიდებისადმი დაქვემდებარების შესახებ. ამ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა უფრო გვიან.

XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და **XVII** საუკუნის წერილობით წყაროებში აბუსერისძეთა საგვარეულო ფაქტობრივად აღარ მოიხსენიება. ჩანს, იმ დროისათვის აბუსერისძეები უკვე აღარ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ძალას, რომელსაც შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

4 მკვლევართა ნაწილი (თ. უორდანია, ლ. მუსხელიშვილი, ი. სიხარულიძე და სხვ.) ფიქრობდნენ, რომ იგანე აქ მოხსენიებულია ამირსპასალარის ტიტულით, რაც არ დასტურდება [დაწვრილებით იხ. ჯოვანა თ., ბერიძე ი. 2011:248].

II. ხიხანის ციხის შესწავლის ისტორია

ხიხანის ციხემ მკვლევართა ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო. ციხის პირველი მოკლე და ზოგადი აღნერილობა ეკუთვნის გიორგი ყაზბეგის. მან ხიხანი 1874 წელს მოინახულა. გ. ყაზბეგი მიუთითებდა ციხეზე ასასვლელი წარმოუდგენლად რთული ბილიკის, ციხის ტერიტორიაზე არსებული ოთხი კოშკისა და ხუთი ნაგებობის, აგრეთვე ქვით ამოშენებული წყლის აუზის შესახებ. მასვე უნახავს ქვევრები, რომელთაც წვიმის წყლის შემკრებ ჭურჭლებად მიიჩნევდა. საინტერესოა გ. ყაზბეგის ცნობა, რომ ორი კოშკი ერთმანეთთან სასიმაგრო კედლით ყოფილა დაკავშირებული. ქარაფის გასწვრივ აგებული ზღუდის კედლები ციხეზე დღესაც არის აქა-იქ შემორჩენილი, მაგრამ აღარ ჩანს, რომ ისინი კოშკებს აკავშირებდა ერთმანეთთან. თუმცა, №2 კოშკის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხეში შეიმჩნევა, რომ ამ ადგილას კოშკს თავის დროზე მიშენებული ჰქონდა ზღუდის საკმაოდ მაღალი კედელი, რომლის დიდი ნაწილი ახლა ქარაფშია ჩაქცეული.⁵ ციხის აღნერისას გ. ყაზბეგი არაფერს ამბობს დარბაზული ეკლესის ნაგებობების შესახებ. ეტყობა სხვადასხვა ნაგებობაში მან ეკლესია ცალკე ვერ გამოარჩია. მასვე ჩაუწერია მოსახლეობაში შემონახული ლეგენდა, რომლის მიხედვით ციხის აგება თამარ მეფეს უკავშირდება [Kazbek Γ. 1875:23-24].

1888 წელს ციხე მოუნახულებია კავკასიის სიძველეთა მკვლევარს პრასკოვია უვაროვას. ციხის აღნერას მან მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი დაუთმო. თუმცა, ეს მოკლე აღნერაც საინტერესო დეტალებს შეიცავს. პ. უვაროვა ხაზს უსვამდა ციხის ყოველმხრივ მიუდგომლობას და აღნიშნავდა, რომ გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფის მიერ აგებულ ციხეს

ჰქონდა ერთი განცალკევებით მდებარე საყარაულო კოშკი. გ. ყაზბეგისგან განსხვავებით, პ. უვაროვა მიუთითებდა სასიმაგრო კედლებით დაკავშირებულ არა ორ, არამედ სამ კოშკზე და კედლებში არსებულ რამდენიმე კარზე [Уварова П. 1891:245]. განცალკევებით მდგარ კოშკი ის ალბათ გულისხმობდა №4 კოშკს, რომელიც კომპლექსიდან მართლაც რამდენადმე დაშორებულია (ტაბ. 8, 72⁴).

ხიხანის ციხის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა ეთნოგრაფმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ. მან ციხე მოინახულა და აღნერა 1896 წელს. „თვით ხიხათის ციხე ... წარმოადგენს განმარტოებულ და წონოლა კლდეს, სამივ კუთხივ მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მიუვალს ... გარშემოვლებული აქვს ქვითკირის გალავანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ნიადაგი გამოსცლია და ჩამოქცეულა. ალაგ-ალაგ გალავანს სარკმელები აქვს ჩატანებული. ერთმანეთზე მოშორებით ხუთი მაღალი კოშკიცა დგას, ხუთივე სანახევროდ დანგრეულები. ციხის შიგნით ნახევრად დანგრეული ეკლესიაცაა. არის აგრეთვე რამდენიმე დამტვრეული და ქვებით სავსე ქვევრები, ნაწილი წყლის შესაკრებად, რადგან მახლობლად წყლის ხსენება არსად არის“ [სახოკია თ. 1950:220].

რომელ ნაგებობას მიიჩნევდა თ. სახოკია მეხუთე კოშკად ძნელი სათქმელია. ყველა მკვლევარი, ვინც ციხეზე ასულა — გ. ყაზბეგი, პ. უვაროვა ხ. ახვლედიანი და სხვ. სრულიად მართებულად მხოლოდ ოთხ კოშკს ასახელებდა. გ. ყაზბეგისა და პ. უვაროვასაგან განსხვავებით, თ. სახოკიამ ციხეზე შემორჩენილ ნაგებობებს შორის ცალკე გამოყო ეკლესია. საინტერესოა

⁵ №2 კოშკზე მიდგმული ზღუდის კედელი კარგად ჩანს XX საუკუნის შუა ხანების ფოტოზე, რომელიც გამოფენილია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში. კედლის ჩამონგრევა არც თუ შორეულ წარსულში უნდა მომხდარიყო.



მისი ცნობა გალავნის კედლებში არსებული სარკმლების შესახებაც, რადგან სადლეისოდ გალავნის შემორჩენილ კედლებში სარკმლები აღარ შეინიშნება.

ციხის აღნერასთან ერთად თ. სახოკია გადმოგვცემს თავისი მეგზურის სოფ. ბაკოს მცხოვრებ მევლეთ დავითაძის მონათხრობს. ის თავის დროზე გ. ყაზბეგსაც ხლებია ციხეზე და უნახავთ ქვა ქართული წარწერით. მ. დავითაძეს ქვის ადგილმდებარეობა ვეღარ გაუხსენებია — „მაშინ პატარა ვიყავი და აღარ მახსოვს სად იყოვო.“ თ. სახოკიას და მის თანმხლებ პირებს ბევრი უძებნიათ წარწერიანი ქვა, მაგრამ ვერ უპოვიათ [სახოკია თ. 1950:220]. რამდენად შეესაბამება რეალობას გ. ყაზბეგის მიერ ხიხანის ციხეზე ქართულნარწერიანი ქვის მიგნების ამბავი, რთული გასარკვევია. თვით გ. ყაზბეგი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ თავის ნაშრომში არაფერს ამბობს.

თ. სახოკიას ჩაუწერია მოსახლეობაში გავრცელებული ლეგენდის რამდენიმე ვერსია, რომელთა მიხედვით ციხე თამარ მეფეს აუგია [სახოკია თ. 1950:223-225]. ამავე ნაშრომში მკვლევარი ვრცლად მოგვითხრობს ხიხანის ციხეში 1815 წელს გამაგრებული ქართული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილისა და სულთანის მიერ გამოგზავნილი ბაბა-ფაშა ფეჰლევანის ბრძოლის ამბებს. სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალებმა დალატით ჩაიგდეს ხელში და თავი მოჰკვეთეს. ცნობილია მისი უკანასკნელი სიტყვებიც — მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო [სახოკია თ. 1950:221-223].

ხიხანის ციხის შესახებ ცნობები შემონახულია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაზეთში „ივერია“ დაბეჭდილ წერილში — „ხირხათის ციხე

დღევანდლამდე მთლადა სდგას. 1888 წელს აქ მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოების ბრძანებით, ადგილები დასთხარეს და შიგ ძველ ნივთებს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი ჰპოვეს. სურათები კი გადაიღეს“ [ჭიჭინაძე ზ. 1893:№217]. ზ. ჭიჭინაძის ამ ცნობის მიხედვით, თითქოს ისე ჩანს, რომ პ. უვაროვას ხიხანის ციხე 1888 წელს არქეოლოგიურად შეუსწავლია. თუმცა, პ. უვაროვა 1891 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ამის შესახებ არსად მიუთითებდა. მკვლევარმა ხეობაში ყოფნისას მართლაც ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები, მაგრამ არა ხიხანის ციხეზე, არამედ ციხის მახლობლად მდებარე სოფ. ბაკოსთან და სოფ. მთისუბანთან, ადგილ ქოჩახის მიდამოებში. მას იქ გაუთხრია ორი ქრისტიანული ხანის სამარხი, რომელთაგან ერთში გულსაკიდი ჯვარი აღმოჩენილა [უვაროვა პ. 1891:246-247].

შემდეგი მკვლევარი, რომელიც ხიხანის ციხის ისტორიას ეხებოდა იყო ხარიტონ ახვლედიანი. მისი აზრით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაფერი იციან ეკლესიის შესახებ და მხოლოდ ციხის არსებობაა შემორჩენილი მათ მეხსიერებაში. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ციხე XIII საუკუნის ეკლესიაზე უფრო გვიანაა აშენებული და, ამიტომ, ციხე ხალხის მეხსიერებას უკეთ შემორჩა [ახვლედიანი ხ. 1955:32]. ამგვარი დასკვნა საფუძველს არის მოკლებული, რადგან ჯერ კიდევ XI საუკუნეში ბაგრატ IV მეფობისას ერისთავი აბუსერი გვევლინება „ხიხათა პატრონად“ [ქც 1955:300_10]. ბუნებრივია, „ხიხათის პატრონობაში“ წყარო ცარიელ ადგილს კი არა, ციხეს გულისხმობდა და თანაცისეთ ძლიერ ციხეს, რომ მას მოიხსენიებდა უმნიშვნელოვანესი პუნქტების — არტანუჯის, ციხის-ჯვრისა და აწყურის გვერდით. ამდენად, სრულიად უეჭველია, რომ ციხე XI საუკუნის

პირველ ნახევარში უკვე ფუნქციონირებდა. რაც შეეხება ხიხანის თავდაპირველი მშენებლობის პერიოდს, ცხადია ციხე XI საუკუნეზე ადრე უნდა იყოს აგებული (იხ. ქვემოთ).

მკვლევარი აღნიშნავდა, რომ „ტყუბა შენობები კარგად ყოფილა გაფორმებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი მრავალოთახიანი შენობა; მისი კარები და ფასადიც ჩუქურთმებით ყოფილა მორთული“ [ახვლედიანი ხ. 1955:40]. უნდა ითქვას, რომ ციხეზე არსებულ ნაგებობათა ძირითადი მახასიათებელი მათი სისადავეა. ვერც ვიზუალურმა დაკვირვებამ და ვერც ჩატარებულმა გათხრებმა ციხის ტერიტორიაზე ვერ გამოავლინა სრულიად მარტივი ორნამენტით შემკული ქვის ერთი ნატეხიც კი. ამდენად, ხიხანის ციხის „შენობების კარგად გაფორმება“ რეალობას არ შეესაბამება.

მცდარია ხ. ახვლედიანის მსჯელობა, რომ თითქოს „ციხის კოშკები და გალავნის მცირე ნაწილი აგურით არის ნაშენი, ხოლო ციხის შიგა შენობები და სხვა — ქვით“ [ახვლედიანი ხ. 1955:44]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოშკების, ზღუდისა თუ ცალკეული ნაგებობების კედლებში აგურის გამოყენება არსად შეინიშნება.⁶

ავტორის მოსაზრებით, ხიხანის ეკლესია აგებულია პირადად კალატოზ ბოლოკ-ბასილის მიერ, რომლის საქმიანობა აღნერილია ტბელი აბუსერისძის თხზულებაში [ახვლედიანი ხ. 1955:32]. თხზულებაში ნახსენებია ბოლოკ-ბასილის მიერ აგებული ყველა ეკლესია, მაგრამ ავტორს არსად აღუნიშნავს, რომ ხიხანის ციხის ეკლესის მშენებლობაში ბოლოკ-ბასილს რაიმე წვლილი მიუძღვდა. ნაშრომში ამგვარ

მინიშნებას ვერც ვნახავდით, რადგან 1230-იანი წლებისთვის, როცა ტბელი აბუსერისძე ციხის ეკლესიას აშენებდა და აღნიშნულ თხზულებას წერდა, კარგა ხნის გარდაცვლილები იყვნენ არა მარტო ბოლოკ-ბასილი, არამედ ბასილის შვილი იოანე და შვილიშვილი იოსებიც. სამივე მათგანს ტბელი აბუსერისძე „ნეტარად“ მოიხსენიებდა [აბუსერისძე ტბელი 1941:11].

რიგი მცდარი დასკვნების მიუხედავად, ხ. ახვლედიანის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან პირველმა დასვა საკითხი ხიხანის ციხის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ; გამოაქვეყნა ციხის გენგეგმა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა; მოგვცა ციხის ცალკეული შენობების აღნერა; მანვე ციხის ტერიტორიაზე არსებულ შენობებში განასხვავა უფრო მტკიცედ ნაგები ადრეული და შედარებით მდარე იერის მქონე მშრალი წყობით ნაგები გვიანდელი შენობები და სხვ. [ახვლედიანი ხ. 1955:29-84].

ხიხანის ძალზე ზოგადი აღნერილობა მოცემული აქვს აჭარის სიძველეთა ცნობილ მკვლევარს იური სიხარულიძეს თავის ერთერთ ნაშრომში [სიხარულიძე ი. 1962:29-32]. თუმცა, ციხის შესახებ იქ რაიმე ახალ მოსაზრებას ვერ ვხვდებით.

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისას ხიხანის ციხის ისტორიის საკითხებს შეეხო შოთა მამულაძე. წინამორბედი მკვლევარებისგან განსხვავებით, მან აღნერა და აზომა ციხის ცალკეული ნაგებობები — გალავანი, კოშკები, მარანი, ეკლესია და სხვ. გააანალიზა ტბელი აბუსერისძის ნაშრომის ცნობები ეკლესიის დათარიღებასთან

⁶ ციხის გალავნის კედლებში აგურის გამოყენებაზე სხვა ავტორებიც მიუთითებენ [მამულაძე შ. 2000:22]. ჩანს, აქ საქმე გვაძვს ხ. ახვლედიანის გადაუმოწმებელი ცნობის დამოწმებასთან. როგორც უკვე აღვნიშნე, ციხეზე აგურის გამოყენების კვალი არსად შეიმჩნევა.



დაკავშირებით. განსაზღვრა ციხის როლი და მნიშვნელობა აჭარისწყლის აუზის ერთიან თავ-დაცვით სისტემაში და სხვ. მკვლევარი ციხეს ხშირად ციხე-ქალაქად მოიხსენიებს [მამულაძე შ. 1993:48-51]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასშტაბურობის მიუხედავად, ხინას არა აქვს ქალაქისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ელემენტები და არც წერილობითი წყაროები მიანიშნებენ მის ციხე-ქალაქობას. ის კლასიკური ციხეა — აბუსერისძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს რეზიდენცია.

ხინას ციხის ისტორიის რიგი საკითხები დიდი ხნის მანძილზე კვლავ შეუსწავლელი რჩებოდა იმის გამო, რომ იქ სისტემური არქეოლოგიური გათხრები არ იყო ჩატარებული. ციხის გათხრები კი ბევრ სიძნელეს უკავშირდებოდა. საბჭოთა პერიოდში ციხე თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვართან მდებარეობდა. ამის გამო, ეს ტერიტორია მკვლევართათვის ფაქტობრივად დახურულ ზონას წარმოადგენდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ სასაზღვრო ზონაში მოძრაობა უკვე თავისუფალი იყო. მაგრამ ციხის მიუდგომლობა, მის ტერიტორიაზე წყლის უქონლობა და ა. შ. აქ ხანგრძლივი კვლევითი სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა.

2013 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს (ხელმძ. ბ. აფხაზავა) დიდი ძალის ხმევით მოხერხდა ამ სირთულეების გადალახვა — ციხის ტერიტორიაზე აიგო ხის სახლი; თითქმის სამი კილომეტრი მანძილიდან, ურთულესი რელიეფის პირობებში ციხეზე მიყვანილ იქნა სასმელი წყალი და სხვ. ერთი სიტყვით, შეიქმნა ყველა საჭირო პირობა ციხეზე საფუძვლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარებისთვის. ამ უაღრესად რთული სამუშაოების განხორციელებაში ფასდაუდებელი ღვანლი მიუძღვით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ყოფილ თუ ამჟამინდელ ხელმძღვანელებს: ქ-ბ მირანდა ჩარკვიანს, ბ-ნ ბიძინა აფხაზავას, თენგიზ ცინცაძეს, ლაშა ასლანიშვილს, ზაურ ახვლედიანს; სააგენტოს თანამშრომლებს: გოჩა კახიძეს, ანზორ მიქელაძეს, მინდია შუღლაძეს.

ციხეზე გათხრები ტარდებოდა 2013-2017 წლებში. ამ ხნის მანძილზე შესწავლილ იქნა ციხის ეკლესია (ტაბ. 9-18); სასახლე (ტაბ. 19-27); ორი დიდი მარანი (ტაბ. 28-41); №4 კოშკი (ტაბ. 8); გვიანდელი შუა საუკუნეების მშრალი წყობით ნაგები შენობები (ტაბ. 42-67). გათხრებისას გამოვლინდა შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტი (ტაბ. 68-70).

საველე სამუშაოებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ექსპედიციის ხელმძღვანელი დავით მინდორაშვილი (2013-2017 წწ.); არქეოლოგები: გიორგი ლალიაშვილი (2013-2016 წწ.), კახაპერ ქამადაძე (2013, 2015-2016 წწ.), გურამ ჩხატარაშვილი (2017 წ.), გიორგი გოგოლაძე (2017 წ.); არქიტექტორები: თორნიკე ასაბაშვილი (2013, 2015-2017 წწ.), გიორგი მასხულია (2014 წ.). საველე და არქეოლოგიური მასალის ფოტოები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს. ზამთრის პეიზაჟები გადაიღო თ. წულუკიძემ. ნახაზები შესრულებულია გ. მასხულიას (ტაბ. 73, 75₁₋₃, 78, 80₁, 81) და თ. ასაბაშვილის (ტაბ. 74, 75₄₋₅, 76, 77, 79, 80₂₋₃, 82-85) მიერ. მასალის ჩანახატები ეკუთვნის ნანა მელქაძეს და გიორგი მინდორაშვილს (ტაბ. 87-98). ნაშრომში წარმოდგენილია ხ. ახვლედიანის მიერ გამოქვეყნებული ციხის გენგეგმის ჩვენს მიერ შევსებულ-შესწორებული ვარიანტი (ტაბ. 72).

III. განვითარებული შუა საუკუნეების განათხარი ძეგლები

1. კოშკი №4. ხიხანის ოთხი კოშკიდან ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი ციხის დასავლეთ ნაწილში მდებარე №4 კოშკი, რომელიც გაითხარა 2014 წელს. ის გეგმით სწორკუთხაა (ფართობი $4,75 \times 3,80$ მ, კედლების სისქე — 0,90-1 მ). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით კირდულაბზე (ტაბ. 8, 72₄, 73). კუთხები ამოყვანილია ქვათლილებით. სიმაღლეში შემორჩენილია მეორე სართულის დონემდე. ინტერიერში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებში სართულსშუა გადახურვის კოჭების ბუდეებია. მეორე სართულზე, აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ მონაკვეთზე სწორკუთხა შესასვლელია, რომლის წირთხლები, არქიტრავი და ზღურბლი გათლილ-დამუშავებული ქვისაა. არქიტრავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ინტერიერის მხრიდან ამოკვეთილია კარის ანჯამის ბუდე. მის მოპირდაპირედ, ზღურბლზეც ასეთივე ბუდეა.

ინტერიერის შემავსებელი ნანგრევი ფენა წარმოდგენილი იყო კლდის ნატეხი ქვის, კირდულაბის და ნაშალი მინის კონგლომერატით. ადგილ-ადგილ გვხვდებოდა ნახშირიც. ნანგრევი ქვა-დორდის ზედაპირიდან 1 მეტრ სიღრმეზე დაფიქსირდა კირხსნარით მოლესილი იატაკის დონე, თუმცა მოლესილობა ძლიერ დაშლილია. იატაკის ქვეშ გამოვლინდა სრულიად სტერილური, წვრილკენჭოვანი ღორღის ფენა.

კოშკის გათხრებისას აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები — კეცები, ქოთნები, ჯამები, ჩიბუხი; სასმისები, რომელთაგან ზოგიერთი მოხატულია წერნაქით; მწვანედ მოჭიქული ჯამები; რკინის ლურსმნები, ასტამი (ტაბ. 70₁₉₋₂₁, 71_{2,8,10}, 97₂₈). არქეოლოგიური მასალა ზოგადად გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. თუმცა, საკუთრივ კოშკი ციხის თავდაპირველი მშენებლობის დროინდელია.

ზემოთ აღინიშნა, რომ „მატიანე ქართლისა“ აბუსერ აბუსერისძეს 1046 წლისთვის იხსენიებს არტანუჯის ერისთავად და ხიხათა (ხიხანის), ციხის-ჯვრისა და ანურის ციხის პატრონად [ქც 1955:300₉₋₁₀]. უდავოა, რომ იმ დროისათვის ხიხანზე არა მარტო აშენებულია და ფუნქციო-

ნირებს ციხის მთავარი ნაგებობები — სასიმაგრო კედლები, კოშკები, ციტადელის შიგნით შემორჩენილი ადრეული შენობები და სხვ. არამედ, ხიხანი უკვე იმდენად მნიშვნელოვანი სიმაგრეა, რომ ის ციხე-ქალაქ არტანუჯის, ციხის-ჯვრისა და ანურის ციხეების გვერდით მოიხსენიება. ბუნებრივია, ციხის ფორმირება და მისი დაწინაურება ერთბაშად არ მომხდარა. მისი ძირითადი ნაგებობების — კოშკების და ზღუდის კედლების მშენებლობა XI საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე უნდა დაწყებულიყო. ციხის მთავარი ნაგებობების, მათ შორის კოშკების მშენებლობის პროცესი ძირითადად X საუკუნეზე მოდის. ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს №4 კოშკიც, რომელიც აქტიურად გამოუყენებიათ გვიანდელ შუა საუკუნეებშიც.

2. სასახლე. სასახლის გათხრები 2013-2014 წლებში მიმდინარეობდა. სასახლე მდებარეობს მაღალი გალავნით შემოსაზღვრული ციტადელის გარეთ, ციხის ქვედა ტერასაზე. ნაგებობა მიწით იყო დაფარული. თუმცა, კარგად ჩანდა სასახლის ორივე კარი და კედლების ნაწილი (ტაბ. 12, 21, 22, 72₅). ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასახლე დანგრევისა და გაუქმების შემდგომ კვლავ გამოუყენებიათ. გათხრებმა სრულიად დაადასტურა სასახლეზე ვიზუალური დაკვირვებისას გაჩენილი ეჭვი. გვიანდელ შუა საუკუნეებში დანგრეული სასახლის ინტერიერში გაუმართავთ ახალი ნაგებობა, რომელიც სასახლის კედლებისგან განსხვავებით, მშრალი წყობით იყო ნაშენი (ტაბ. 44). იმავე დროს, სასახლის აღმოსავლეთ კედლზე გარედან მიუშენებიათ მცირე ზომის ასევე მშრალი წყობით ნაგები შენობა (ტაბ. 48). გვიანდელი გადაკეთებების კვალი ეტყობა სასახლის დასავლეთ მინაშენსაც. მოგვიანო შენობებში გამოყენებული იყო სასახლის დაშლილი კედლების ქვები და ეკლესიის ლორფინები.

სასახლე დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე (ფართობი $15,70 \times 8,70$ მ). თუმცა, საკმაოდ არის გადახრილი ჩრდილო-დასავლეთ

სამხრეთ-აღმოსავლეთით (ტაბ. 19, 74). კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლის მაქსიმალური სიმაღლე დასავლეთ კართან 3,80 მეტრია (ტაბ. 21). ზოგადად, სასახლის კედლების სიმაღლე დაახლოებით 4 მეტრი ან ოდნავ მეტი შეიძლება ყოფილიყო. სასახლე ერთსართულიანია. გათხრებს არ მოუცია რაიმე მასალა იმის სავარაუდოდ, რომ შენობა ორსართულიანი შეიძლება ყოფილიყო. სასახლეს აქვს მიწის ზემოთ კარგად შემორჩენილი, ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებული ორი კარი. ერთი კარი მდებარეობს სასახლის დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეში. კარი ფასადის მხრიდან ნაგებია დიდი ქვათლილებით. ზღურბლი იატაკის დონეს უსწორდება და შედგება რამდენიმე მოზრდილი ქვისგან. კარის თავსართი კარგად გათლილი მასიური სწორკუთხა ქვაა. კარის სიმაღლე ფასადის მხრიდან 1,55 მეტრია (ტაბ. 21). ინტერიერის მხრიდან ის თაღოვანია, უფრო ფართო და მაღალი (სიმაღლე 1,83 მ) (ტაბ. 21). მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს შემორჩენილია ნირთხლების კვალი ხის კარის გასამართად.

სასახლის მეორე კარი აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეშია. ისიც ფასადის მხრიდან ნაგებია მოზრდილი ქვათლილებით (ტაბ. 22). პირველის მსგავსად თავსართი ქვა აქაც მასიური სწორკუთხა ქვათლილია. ზღურბლი, როგორც საფასადო, ისე ინტერიერის მხრიდან მორღვეულია. თუმცა, კარის სიმაღლის დადგენა ძნელი არაა და ჩანს ის 1,75 მეტრი იყო. ინტერიერის მხრიდან მეორე კარიც თაღოვანია. მისი სიმაღლე ინტერიერის მხრიდან 2,30 მეტრი უნდა ყოფილიყო (ტაბ. 22). აღსანიშნავია, რომ თუ სასახლის დასავლეთი კარიდან პირდაპირ შევდივართ დარბაზში, აღმოსავლეთის კარიდან დარბაზში ჩავდივართ ორსაფეხურიანი კიბით, რომელთაგან ზედა საფეხური ამჟამად მორღვეულია და მხოლოდ ქვედა საფეხურია შემორჩენილი. ინტერიერის მხრიდან კარის მარცხენა ნაწილის ქვებზე ხის კარის გასამართი ნირთხლებია.

როგორც აღინიშნა, ორივე კარი დატანილია ტრადიციულად არა ნაგებობის ცენტრალურ,

არამედ აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების სამხრეთ ნაწილში — კუთხეებთან (ტაბ. 74). სასახლის კართა განლაგება ნაგებობის კუთხეებთან, თანაც ერთ მხარეს, გვაფიქრებინებს, რომ შენობას ჰქონდა ცალფერდა გადახურვა. სახურავი დაქანებული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ მხარეს. რაც შეეხება სახურავის საყრდენებს, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ამ მასშტაბის ნაგებობას, გათხრებისას სასახლის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, ცენტრალური გრძივი ხაზის გასწვრივ აღმოჩნდა იატაკიდან ამოზიდული კლდის ძარღვები, რომელთავის მშენებლებს კუბის ფორმა მიუციათ, კირხსნარით მოულესავთ და ამგვარად შეუქმნიათ სვეტის საყრდენი ბაზები. ცენტრალური ბაზის ერთი ნაწილი კლდოვანი ძარღვია, ნაწილი კი კლდის ფლეთილი ქვებით არის ამოშენებული კირხსნარზე (ტაბ. 23). ბაზა კირხსნარითვე ყოფილა მოლესილი. ნალესობის კვალი მას ყველა მხრიდან, მათ შორის ზემოდანაც ეტყობა. მოგვიანებით, როცა დანგრეული სასახლის ინტერიერში ააგეს ახალი შენობა, სასახლის ცენტრალური ბაზა ნაწილობრივ დაიფარა ახალი ნაგებობის კედლით (ტაბ. 23).

ცენტრალური ბაზიდან დასავლეთით 3,20 მეტრის დაშორებით მეორე ბაზაა. ისიც კუბის ფორმის კლდის დამუშავებული ძარღვია. მისი ერთი ნაწილი გათხრებისას უკვე მონგრეული დაგვხვდა (ტაბ. 23, 74). ბაზაზე აქა-იქ შეინიშნება კირხსნარით ნალესობის კვალი.

სახურავის საყრდენი სვეტის მესამე ასეთივე ბაზა უნდა ყოფილიყო ცენტრალური ბაზიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით იმავე მანძილზე, რა მანძილიც არის ცენტრალურ და დასავლეთ ბაზას შორის (ტაბ. 74). მესამე ბაზის სავარაუდო ადგილი ექცევა სასახლის ინტერიერში მოვიანებით აგებული შენობის შიგნით. როგორც ჩანს, სასახლის მესამე სვეტის ბაზა მოგვიანო მშენებლობას შეენირა. ამრიგად, სასახლის გათხრებისას აღმოჩნდა სახურავის საყრდენი სვეტების ორი — ცენტრალური და დასავლეთის ბაზა (ტაბ. 23-2). რაც შეეხება მესამე სვეტის ბაზას, ის აშკარად განადგურებული ჩანს სასახლის ტერიტორიაზე ჩატარებული გვიანდელი მშენებლობის დროს.

სასახლის იატაკი მთლიანად კირხსნარის ორი სანტიმეტრი სისქის ფენით ყოფილა დაფუარული. კირხსნარიანი იატაკის კვალი რიგ ადგილებში თვალნათლივ შეიმჩნევა (ტაბ. 45₂). კირხსნარითვე უნდა ყოფილიყო მოლესილი სასახლის ინტერიერი. კედლებზე, განსაკუთრებით კი დასავლეთი კედლის კუთხეში ნალესობის კვალი დღესაც კარგად არის შემორჩენილი (ტაბ. 24₁).

სასახლის ინტერიერის გათხრებისას ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კვადრატული გეგმის (ფართობი $3,50 \times 2,40$ მ) „შემაღლება-ტახტი“, რომელიც იატაკიდან 0,30-0,40 მეტრით არის ამაღლებული. მისი კიდეები (ბორდიურები) და ზედაპირი მოლესილია კირხსნარის სქელი ფენით (ტაბ. 24, 25, 74₁). ეს მცირე ფართობის „შემაღლება-ტახტი“ უნდა წარმოადგენდეს სასახლის მფლობელთა მოსასვენებელ თუ დასაძინებელ ადგილს, რომელიც დიდი დარბაზიდან ალბათ ხის ტიხარითა და ფარდაგებით იყო გამოყოფილი.

სასახლეზე გარედან, დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში მიშენებულია პატარა, საკმაოდ დაზიანებული ნაგებობა, რომლის იატაკი ასევე კირხსნარით ყოფილა მოგებული. მინაშენის სავარაუდო ფართობია $5x7$ მეტრი (ტაბ. 26, 27, 74₁). სრულიად აღარ არის შემორჩენილი ნაგებობის სამხრეთი კედელი. შენობაში აღმოჩნდა ისეთივე „შემაღლება-ტახტი“, როგორიც გვხვდება სასახლის ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. ამ „შემაღლება-ტახტის“ „სიმაღლე იატაკის დონიდან 0,40 მეტრია. ის უშუალოდ კედელზე მიდგმული. „შემაღლება-ტახტი“ $2,50 \times 5$ მეტრ ფართობზეა შემორჩენილი. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირხსნარზე და მთლიანად გადალესილია კირხსნარის ფენით, რომლის სისქე ზოგ ადგილას ოთხ სანტიმეტრს აღწევს (ტაბ. 27₂). ცუდი დაცულობის გამო, არ ჩანს მინაშენის შესასვლელი, რომელიც მას დასავლეთიდან ან სამხრეთიდან უნდა ჰქონდა.


მინაშენს, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ კედელს კარგად ეტყობა გვიანდელი გადაკეთებების კვალი. კედელი, რომელიც ხუთ მეტრამდე გრძელდება, შედგება კირხსნარით შეკრული ქვების მასებისგან, რომლებიც სასახლის

ნანგრევებიდან აუღიათ (ტაბ. 27₁). ჩანს, გვიან შუა საუკუნეებში, მაშინ, როცა სასახლე უკვე დანგრეული იყო, მისი დასავლეთი მინაშენი აღუდგენიათ და საცხოვრებლად გამოუყენებიათ. იმავე პერიოდში სასახლის ინტერიერში გაუმართავთ ბუხრიანი ნაგებობაც. ასეთივე ნაგებობა სასახლის აღმოსავლეთ კედელზე გარედანაც მიუშენებიათ (ტაბ. 19₂, 20₁₋₂, 74₂).

აღსანიშნავია, რომ მინაშენისა და სასახლის კედლები არ არის ერთმანეთზე გადაბმული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მინაშენის აგება სასახლის მშენებლობის პროცესში არ იყო გათვალისწინებული. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ მინაშენი აგებული უნდა ყოფილიყო სასახლის აშენებიდან მალევე, არც თუ დიდი ხნის გასვლის შემდეგ. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ მინაშენშიც ისეთივე „შემაღლება-ტახტია“ მიკვლეული, როგორიც სასახლის ინტერიერშია გათხრილი. ერთნაირია მათი სიმაღლე. ორივე ქვითა და კირხსნარით არის აგებული და კირხსნარითვე მოლესილი. როგორც სასახლის, ისე მინაშენის იატაკი ასევე კირხსნარით არის მოგებული. ამრიგად, სასახლისა და მის დასავლეთ კედელზე მიდგმული ნაგებობის მშენებლობის თარიღები ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დიდად არ უნდა იყოს დაშორებული.

სასახლის გათხრებისას საკმაოდ მრავლად ჩნდებოდა ქვის ლორფინების ნატეხები. მათ შორის ერთი მთელი ნიმუშიც ($0,70 \times 0,45$ მ) ერია. ლორფინის მხოლოდ ზედაპირია დამუშავებული. ქვედა მხარე დაუმუშავებელია. მისი ერთი გვერდი რელიეფურია, ქვედა მხრიდან გადასაბმელი ღარით. ლორფინზე ამოკვეთილია სამკუთხა მოყვანილობის საწვეთური (ტაბ. 71₆). მიუხედავად დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ლორფინებისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სასახლე არ ყოფილა ლორფინით გადახურული და ისინი იქ მოგვიანებით უნდა მიეტანათ დანგრეულ-გაუქმებული ეკლესიდან. ლორფინების უმრავლესობა ჩართული იყო გვიანდელი შენობების კედლებში. რითი იყო გადახურული საკუთრივ სასახლე ძნელი სათქმელია.

განვითარებული შუა საუკუნეების სასახლეები, საკულტო ნაგებობებისგან განსხვა-



ვებით, ჩვენში მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი და მათგან არქეოლოგიურ-არქიტექტურულად სულ რამდენიმეა შესწავლილი (გეგუთი, კვეტერა, ნეკრესი, ნადარბაზევი). ხიხანის სასახლის შესადარებელი თანადროული და დაახლოებით მსგავსი გეგმარების ნაგებობებიდან ნადარბაზევის სასახლე შეიძლება და-სახელდეს [ციციშვილი ირ., ზაქარაია პ. 1955:104]. ამ ორ სასახლეს შორის განსხვავებებთან ერთად საერთო დეტალებიც შეინიშნება. კერძოდ, ყურადღებას იქცევს როგორც ხიხანის, ისე ნადარბაზევის სასახლის ძირითად ნაგებობაზე გარედან მიშენებული სათავსი (ტაბ. 74₁, 86₁). ერთნაირია ხიხანისა და ნადარბაზევის სასახლეთა კარის გაფორმება — ფასადის მხრიდან სწორკუთხა, ინტერიერის მხრიდან თაღოვანი (ტაბ. 21, 22, 74₄₋₅, 86₂₋₃). საინტერესოა, რომ არც ნადარბაზევში და არც ხიხანის სასახლეში (მხედველობაში გვაქვს სასახლის თავდაპირველი ნაგებობა) არ გამოვლენილა ბუხარი, რომელიც ასეთი დიდი შენობების აუცილებელი ნაწილია. ნადარბაზევის მაგალითზე, ი. ციციშვილი და პ. ზაქარაია ამ ფაქტს იმით ხსნიდნენ, რომ შენობა მეფის (თუ რომელიმე დიდებულის) საზაფხულო რეზიდენცია უნდა ყოფილიყო [ციციშვილი ირ., ზაქარაია პ. 1955:109]. ძნელი სათქმელია, როგორ ჰქონდათ მოგვარებული შენობის გათბობის საკითხი ხიხანის სასახლეში. იქნებ ნადარბაზევის მსგავსად ციხის მფლობელები სასახლეს ძირითადად ზაფხულის თბილ თვეებში იყენებდნენ? როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი, ფაქტია, რომ თავდაპირველ სასახლეში არ ჩანს გამათბობელი საშუალებები — ბუხარი თუ კერა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ სასახლის ბუხარი მოშალეს მას შემდეგ, რაც გვიანდელ შუა საუკუნეებში ნაგებობის ინტერიერში ახალი შენობა გამართეს.

ხიხანის სასახლის ცალკეული დეტალების მსგავსება ნადარბაზევის სასახლესთან იმაზე მიუთითებს, რომ ხიხანისა და ნადარბაზევის სასახლეები დაახლოებით ერთი პერიოდის ძე-

გლებია და ორივე მათგანი ინტენსიურად გამოიყენებოდა განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე. ნადარბაზევის შემსწავლელი მკვლევარები არ გამორიცხავდნენ, რომ ის IX-X საუკუნეებში ყოფილიყო აგებული და შემდგომ ხან-გრძლივად ფუნქციონირებდა [ციციშვილი ირ., ზაქარაია პ. 1955:106].

ხიხანის სასახლე ციხის ციტადელის გარეთ მდებარეობს და აშენებული ჩანს X საუკუნის ზღუდის კედლებზე და კოშკებზე ცოტა მოგვიანებით. სასახლის შესახებ ადრე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში მისი თარიღი ზოგადად X-XI საუკუნეებით განისაზღვრა [მინდორაშვილი დ. 2015:142; მინდორაშვილი დ. 2017:323]. ვფიქრობ, სასახლის მშენებლობის პერიოდი X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისს არ უნდა სცილდებოდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, სასახლის დანგრევის შემდეგ, მის ინტერიერში გაუმართავთ ბუხრიანი ნაგებობა (ტაბ. 44, 74₂). ერთი ასეთივე ნაგებობა სასახლის აღმოსავლეთ კედლებზეც მიუდგამთ (ტაბ. 48, 74₂). მოგვიანებით, ასევე გადაუკეთებიათ სასახლის დასავლეთი მინაშენიც (ტაბ. 27₁).

3. 43 ქვევრიანი მარანი. 2015 წელს ციხის ცენტრალურ ნაწილში, ჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან სამიოდე მეტრის დაშორებით გამოვლინდა 43 ქვევრიანი მარანი (ფართობი 11x7,50 მ). მასში გამართული ქვევრების დიდი ნაწილი დაზიანებულია (ტაბ. 72₆, 80₂). ჩრდილოეთიდან მარანი ზღუდის კედლითაა შემოსაზღვრული.⁷ თუმცა, ზღუდის კედელი საკუთრივ მარნის კედლად არ ყოფილა გამოყენებული (ტაბ. 75₄). მარანს აღმოსავლეთიდან საზღვრავს კლდის ფლეთილი ქვებით მშრალად ნაგები კედელი, რომლის სიგრძე 12 მეტრს აღწევს. კედელი ზოგ ადგილას ქვევრებთან ისე ახლოა, რომ კედლის ძირი ქვევრების მხრებზე გადადის (ტაბ. 75₄). ეს მოგვიანო კედელი ტერასის შემაკავებლის ფუნქციას ასრულებდა და მას მარანთან კავშირი არა აქვს. ფაქტობრივად მარნის კედლების დაფიქსირება ვერ მოხერხდა

⁷ ჩრდილოეთით არსებული ზღუდის კედლის უსაფრთხოების მიზნით მარნის ამ მხარეს დაახლოებით 1-1,50 მეტრი სიგანის ზოლი გაუთხრელი დარჩა. ამიტომ შესაძლოა, ქვევრების რიცხვი — 43 საბოლოო არ იყოს.

იმის გამო, რომ ისინი გვიანდელი ნაგებობები-სგან ძლიერ არის დაზიანებული.

ქვევრები დიდი, საშუალო და მცირე ზომისაა (ტაბ. 29-33, 754). 43 ქვევრიდან სრულად ან თითქმის სრულად მხოლოდ ხუთი ქვევრია შე-მორჩილი. დანარჩენი ქვევრების მხოლოდ ქვედა ნაწილებია მიკვლეული.

მსგავსი ფორმა-მოყვანილობისა და ორნა-მენტის მქონე ქვევრები არაერთია აღმოჩენილი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუა საუ-კუნეების ძეგლებზე [მამულაძე შ. 1993:61, ტაბ. 98, 202]. პირზე ნაჭდევებითა და ტანზე რელიე-ფური სარტყლებით შემკული ანალოგიური ფორმის ქვევრები ცნობილია სოფ. ზენდიდის XI-XIII საუკუნეების განათხარი მასალიდანაც [ხალვაში მ., მამულაძე შ., მინდორაშვილი დ. 2017:ტაბ. VII²⁹].

43 ქვევრიანი მარნის თარიღთან დაკავში-რებით საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ქვევრთან აღმოჩნდა ცისფერი მინის გრეხილი სამაჯური (ტაბ. 70₂₆, 97₃₀), რომლის ანალოგები მრავლად არის ცნობილი XI-XIII საუკუნეების საქართვე-ლოს არქეოლოგიური ძეგლებიდან [დოლაბე-რიძე რ. 1969:110-111]. მარანშივეა მიკვლეუ-ლი მინის ჭურჭლის ძირის ნატეხი, რომელიც ფრაგმენტულია, მაგრამ თავისი იერით ზოგა-დად განვითარებული შუა საუკუნეების არტე-ფაქტია (ტაბ. 70₂₇, 97₃₁).

მარანში აღმოჩენილი ქვევრებიდან მხოლოდ ერთია ნაწილობრივ ჩაკირული (ტაბ. 342), და-ნარჩენები ჩაუკირავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მარანი განვითარებული შუა საუკუნეების საწყისი ეტაპის ძეგლია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ქვევრების ჩაკირვის წე-სის დამკვიდრებას 1080 წელს საქართველოში მომხდარ დიდ მიწისძვრას უკავშირებდა. ამ და-მანგრეველი მიწისძვრის შემდგომ უნდა დაე-წყოთ ჩვენში ქვევრების მასობრივი ჩაკირვა [ბოხოჩაძე ალ. 1963:143]. საფიქრებელია, რომ

43 ქვევრიანი მარანი ციხეზე X საუკუნის მეორე ნახევარი - XI საუკუნის დასაწყისში გამართეს.⁸ მარანი და სასახლე დაახლოებით თანადროული ნაგებობებია. მასშტაბური სასახლის მშენე-ბლობას და შესაბამისად ხიხანზე აბუსერისძეთა ხანგრძლივად ცხოვრებას უნდა გამოეწვია ცი-ხეზე ასეთივე დიდი მარნის გამართვის საჭი-როებაც, რადგან საეჭვოა 43 ქვევრიანი მარანი მხოლოდ ციხის კოშკებში მყოფი მცველები-სთვის ყოფილიყო განკუთვნილი. მარანი არც თუ ხანგრძლივი დროით არსებობდა. როდის და რა მიზეზით მოხდა 43 ქვევრიანი მარნის გაუქმება? სავარაუდოდ, მარანი შეეწირა 1190/91 წლებში „ციხეთა შინა თურქთა შეყე-ნება“-ს [ქც 1959:55₂₁, 56₁]. როგორც ლ. მუსხე-ლიშვილი ფიქრობდა, სხვა ციხეებთან ერთად თურქებმა ხიხანიც მიიტაცეს. ციხე გაათავი-სუფლა ტბელი აბუსერისძის პაპა აბუსერმა და მისმა ძმამ სანანომ [აბუსერისძე ტბელი 1941:16-17]. სავსებით დასაშვებია, რომ ციხის აღების შემდეგ, დამპყრობელს, რომელსაც რელიგია ღვინის სმას უკრძალავდა, მარანი გაენადგუ-რებინა. როცა აბუსერისძებმა ციხე გაათავი-სუფლეს, მწყობრიდან გამოსული მარნის სა-ნაცვლოდ, მათ აქ მეორე, პირველთან შედარე-ბით მცირე მარანი ააგეს.

4. 28 ქვევრიანი მარანი. 2014 წელს ექსპე-დიციამ შეისწავლა ციხის მარანი, რომელიც მდებარეობს №2 კოშკის სამხრეთით 17,50 მე-ტრის დაშორებით. გათხრებამდე მასში მხოლოდ ოთხი ქვევრი და ერთი ნაქვევრალის კვალი შეი-ნიშნებოდა (ტაბ. 35). თავის დროზე, მიწის ზე-მოთ შემორჩენილი ქვევრების რიცხვი გაცი-ლებით მეტი იყო. მაგ. ხ. ახვლედიანი გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის მარანში ათამდე ქვევრს აფიქსირებდა [ახვლედიანი ხ. 1955:40-41]. თ. სახოკია გამორიცხავდა ხიხანის ციხეზე მარნის არსებობას და აღნიშნულ ქვევრებს მხო-ლოდ წყლის დასაგროვებელ ჭურჭლად მიიჩ-

⁸ ხიხანის ციხის გათხრებისადმი მიძღვნილ პირველ პუბლიკაციებში 43 ქვევრიან მარანს წყლის რეზერვუარად მივიჩნევდი და მას XI-XIII სს-ით ვათარილებდი [მინდორაშვილი დ. 2016:81; მინდორაშვილი დ. 2017:327], რაც შემდგომმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა. ის კლასიკური მარანია — ღვინის შესანახი ნაგებობა. ამასთან, მარნის თარიღიც რამდენადმე დაძველდა.



ნევდა იმის გამო, რომ იქ არსად ჩანდა წყარო ან წყალსადენი, რომელიც ციხეს წყლით მოა-მარაგებდა [სახოკია თ. 1950:220].⁹

ნაგებობის გათხრების შემდეგ გაირკვა, რომ საქმე გვქონდა 28 ქვევრიან ღვინის მარანთან, რომელიც გამართულია ციხის მკვე-თრად დამრეცი ფერდის მოსწორებულ ბაქანზე. შენობა გეგმით სწორკუთხედია (ფართობი 10,70x5 მ). დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. წყობის ჰორიზონტულობა ყო-ველთვის არ არის დაცული (ტაბ. 36, 72₁, 75₁₋₂). მარნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ქა-რაფშია ჩაქცეული. ამდენად, მისი თავდაპირვე-ლი სიგრძე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. ამავე მხრიდან ჰქონია მარანს შესასვლელიც, რადგან სამ დანარჩენ კედელში შესასვლელის კვალი არსად ჩანს (ტაბ. 75₁). მარნის კედლები შემორჩენილია 1,50-2 მეტრ სიმაღლეზე. კე-დლების გარეპირი უსწორმასწოროა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მარანი ნახევრად მიწური ნა-გებობა ყოფილა. საინტერესო გამოდგა მარნის ჩრდილო-დასავლეთი კედელი, რომლის ცენ-ტრში ამოშენებულია 1,80 მეტრი სიმაღლის კვადრატული გეგმის (0,90x0,90 მ) სვეტი. სვე-ტიდან მარნის ორივე გრძივი კედლის დაბო-ლობაზე გადადიოდა თაღები, რომლებიც ამ-ჟამად ჩაქცეულია. თუმცა, მათი კვალი კარგად შეინიშნება როგორც კედლის ცენტრში არსე-ბული სვეტის, ისე მარნის გრძივი კედლების კიდეებთან (ტაბ. 37₁). სვეტსა და გრძივი კე-დლების კუთხეებს შორის სივრცე ამოშენებუ-ლია ქვის კედლებით, რომლებიც თაღის კედლის პირიდან 20 სანტიმეტრით შიგნითაა შეწეული. ძირითადი კედლებისაგან განსხვავებით, ისინი მშრალი წყობით არის ნაშენი (ტაბ. 38₁₋₂, 75₁). გათხრებისას არ გამოვლენილა ისეთი მასალა, რაც მარნის გადახურვის შესახებ მოგვცემდა რაიმე ინფორმაციას. საფიქრებელია, მარანი ყავრით ყოფილიყო დახურული. საყურადლებოა

ის გარემოება, რომ ციხეზე შესწავლილი გან-ვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობებიდან არც ერთი არ არის მიწური შენობა. ზემოთ აღ-ნერილი მარანი კი ნახევრად მიწურია და ეს შემთხვევითი არაა, ვინაიდან ამგვარ მიწურებში უკეთესად არის შენარჩუნებული ტემპერატუ-რის სტაბილურობა, რაც უაღრესად მნიშვნე-ლოვანია მარნისა და სხვა მსგავსი სამეურნეო დანიშნულების შენობების ნორმალური ფუნ-ქციონირებისათვის.

მარანში ქვევრები თავდაპირველად კედლე-ბის გასწვრივ ჩაუდგამთ. შემდგომში, თანდათან ქვევრებით შეუვსიათ შენობის ცენტრალური ნაწილიც. თუმცა, ამ შემთხვევაში რიგის სი-სწორე დაცული არ არის. ქვევრების განსაკუ-თრებული სიმჭიდროვე მარნის აღმოსავლეთ ნაწილში შეიმჩნევა. აქ ერთად იმდენი ქვევრია თავმოყრილი, რომ მათ შორის გავლაც ჭირს (ტაბ. 36, 37).

28 ქვევრიდან მხოლოდ შვიდი იყო მიწაში ჩაუკირავად ჩადგმული.¹⁰ დანარჩენები ჩაკი-რულია. ჩაკირული ქვევრების კირხსნარის ფენის სისქე 5-20 სანტიმეტრს აღწევს (ტაბ. 37₂, 40₂). ზოგჯერ კირხსნარში ქვები და ძველი ქვევრების ნატეხებია ჩართული (ტაბ. 41₂₋₄). ქვევრების უმეტესობა მოზრდილია. მარანში გამოვლენილი ქვევრები თავისი ფორმებით, შემკულობით, კე-ცის სტრუქტურითა და ფაქტურით, იმეორებს აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუა საუ-კუნეების მარნებში (ჭვანა, ციხისყელი) თუ კულტურულ ფენებში არაერთგან მიკვლეულ ქვევრებს [მამულაძე შ. 1993:61].

საეჭვოა, ხიხანის ციხეზე ზღვის დონიდან 2230 მეტრზე, საკმაოდ დიდი ტევადობის ორივე მარანს ერთდროულად ეარსება. 28 ქვევრიანი მარანი უნდა აეგოთ მას შემდეგ, რაც 43 ქვე-ვრიანმა მარანმა XII საუკუნის მიწურულს დამ-პყრობლის „წყალობით“ შეწყვიტა თავისი არ-სებობა. 28 ქვევრიანი მარნის აგების თარიღი XIII საუკუნის დასაწყისით შეიძლება განისაზ-ლვროს. გაცილებით ხანგრძლივი უნდა ყოფი-

9 ხ. ახვლედიანის აზრით, ქვევრებს ღვინის გარდა, წყლის შესანახადაც იყენებდნენ ხანგრძლივი ალყის დროს [ახვლედიანი ხ. 1955:40-44]. ქვევრებს ამგვარი ორმაგი ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. ისინი ან საღვინეებია, ან წყლისთვის განკუთვნილი ჭურჭელი.

10 ქვევრების რაოდენობა თავის დროზე უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მარნის ნაწილი ქარაფშია ჩაქცეული.

ლიყო მეორე მარნის ფუნქციონირების პერიოდი.¹¹ მოგვიანებით, როცა აბუსერისძეებმა თანდათან დაკარგეს პოლიტიკური გავლენები და საგვარეულო ეკონომიკურადაც საკმაოდ დასუსტდა, ციხეზე ასეთი დიდი ტევადობის მარნის სრული დატვირთვით ფუნქციონირება ნაკლებ სავარაუდოა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ქვევრები წვიმის წყლის რეზერვუარებია [სახოკიათ. 1950:220]. სადლეისოდ ეს მოსაზრება მიუღებელია რამდენიმე გარემოების გამო: 1. წყლისათვის ხიხანის ციხეზე, ციტადელში არსებობდა დიდი მოცულობის ჭა. მართალია, ამჟამად ჭაში მიწისქვეშა წყლების შეკრება არ ხდება, მაგრამ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ 10-11 საუკუნის წინ ჭაში წყალი არ გროვდებოდა; 2. წვიმის წყლისათვის განკუთვნილ ქვევრებს დახურულ შენობაში არ ჩარგავდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი წყლით ვერ აივსებოდა. თუ დავუშვებთ იმას, რომ წვიმის წყალი რაღაც საშუალებებით შეჰქვდათ ნაგებობაში და შემდგომ ის ქვევრებში ნაწილდებოდა, მაინც სრულიად ზედმეტი იყო ამ დანიშნულების ქვევრები მაინცადამაინც მტკიცედ და მკვიდრად ნაგებ თაღოვან შენობაში მოექციათ; 3. წყლის ჭურჭლისათვის არ იყო აუცილებელი ჩაკირვა, რომელიც მარნის 28 ქვევრიდან 21 ქვევრს აქვს; 4. მართალია, იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც ხიხანის ციხე მდებარეობს, ვენახი არ ხარობს, მაგრამ წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ბარიდან მთაში აჰქონდათ ყურძნის ტკბილი, რომლის დადუღება ადგილობრივ მარნებში ხდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „ტკბილს მოიტანდნენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა (იგულისხმება თრიალეთი დ. მ.) და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“ [ქც 1973:319₁₆₋₁₇]. თუ როგორ აჰქონდათ ყურძნის ტკბილი ბარიდან მთაში, კერძოდ მთიულეთში,

ვახუშტი ბაგრატიონი თავისი თხზულების სხვა ადგილასაც მოგვითხრობს: „მთიულეთი ... არს უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა ... და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“ [ქც 1973:355_{26-356₁₋₂}].

ბარიდან ყურძნის ტკბილის ამოტანა და მისი ადგილზე დადუღება აბუსერისძეთა ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს არ უნდა გასჭირვებოდა. ჩანს, თავისი სამყოფი ღვინის დიდ მარაგს ისინი ხიხანის ციხის მარნებში ინახავდნენ.

მარანში ქვევრებისა და ქვის სარქველების გარდა (ტაბ. 41₅₋₆) აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები. კერამიკული ნანარმიდან საინტერესოა დოქის ნატეხი, რომელზეც ამოკანრულია ჯვარი (ტაბ. 95₃).

5. ეკლესია. ციხის აღმოსავლეთ ნაწილში, ოვალური გალავნით შემოსაზღვრული მაღალი ტერასის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ კიდეში, ქარაფის პირას მდებარეობს ეკლესია (ტაბ. 9-18, 72₈). ნაგებობა გაითხარა 2013 წელს. ეკლესის ასაგებად მშენებლებს შეურჩევიათ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მკვეთრად დაქანებული კლდოვანი ნიადაგი. ამიტომ, სამშენებლო მოედნის ნიველიორების მიზნით, დამრეცი კლდოვანი მასივის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში აუგიათ ორი კედელი. სუბსტრუქციის სამხრეთი კედელი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი. ის 1,80-2 მეტრი სიმაღლისაა, ეკლესის სამხრეთი კედლის პარალელურია და გრძელდება 6,50 მეტრზე (ტაბ. 10₁).

სუბსტრუქციის მეორე, დასავლეთის კედელი, დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე და პირველ კედელს ებმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 7,50 მეტრი სიგრძისა და 1,70 მეტრი სიმაღლის კედელი ეკლესის დასავლეთი კედლის პარალელურია (ტაბ. 10₂). ორივე კედელი ნაშენია კლდის ნატეხი, ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით, კირხსნარზე. ამრიგად, რო-

11 მარანი მოგვიანებითაც რომ აგრძელებდა არსებობას, მეტყველებს შენობის თაღების ქვეშ აღმოჩნდილი მშრალი წყობით ნაგები კედლები. ჯერ კიდევ ხ. ახვლედიანი გამოთქვამდა სრულიად მართებულ მოსაზრებას, რომ ციხეზე მშრალი წყობით ნაგებ შენობები გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება [ახვლედიანი ხ. 1955:44]. ამ მოსაზრების სისწორე ციხის გათხრებმა შემდგომში არაერთხელ დაადასტურა. ჩანს, მარანი მოგვიანებით ნაწილობრივ შეუკეთებიათ და მისი თაღების ქვეშ მშრალად ნაშენი კედლები ამოუყვანიათ.

გორცვნახეთ, ეკლესიის აგებამდე მშენებლებს დამრეცი კლდოვანი მასივი მოუსწორებიათ, რისთვისაც ორი საკმაოდ მყარი კედელი აუგიათ.

ეკლესია, რომლის დიდი ნაწილი დანგრეულია, გათხრებამდე ნაწილობრივ მიწით იყო დაფარული. თუმცა, ნაგებობის გეგმა მაინც იკითხებოდა (ტაბ. 9). გათხრების შემდეგ უფრო ნათლად გამოიკვეთა ეკლესიის კონტურები და ცალკეული დეტალები. გარდა ამისა, ნაგებობის გათხრებმა გამოავლინა საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალაც. დარბაზული ეკლესიის სიგრძე 7,70 მეტრია, სიგანე — 5,20 მეტრი.¹² 0,60 მეტრი სისქის კედლები, რომელთა სიმაღლე დღეისათვის 1,50 მეტრზეა შემორჩენილი, დაშენებულია ერთსაფეხურიან ცოკოლზე (ტაბ. 11).¹³ კედლები ნაშენია კლდის ნაწილობრივ დამუშავებული საშუალო ზომის მონაცრისფრო, იშვიათად მოწითალო ფერის ქვათლილებით კირდულაბზე. მოზრდილი ქვათლილები კედლის წყობის ქვედა რიგში, და ისიც მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის გამოყენებული. ქვების რიგების ჰორიზონტულობა ნაკლებადაა დაცული. სამხრეთი კედლის საფასადო ქვების ერთერთი ქვედა რიგი საკურთხევლის მხარეს ისეა დალაგებული, რომ თაღის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, აქ თაღთან არ გვაქვს საქმე (ტაბ. 11). ქვები თაღისებურად არის აგრეთვე დაწყობილი ინტერიერში, საკურთხევლის კედლის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში (ტაბ. 12). დასავლეთი კედლის წყობაში, ჩრდილოეთ მხარეს ჩართულია სქელკეციანი ქვევრის გვერდის ნატეხი, შემკული რელიეფური სარტყელით. ამგვარად შემკული ქვევრები ციხის მარნების გათხრების დროსაც ჩნდებოდა.

ეკლესიას შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან. შესასვლელის ზღურბლის მოზრდილი ქვა აქ ახლაც კარგად არის შემორჩენილი. თუმცა, კედლები ორივე მხრიდან იმ დონემდეა დან-

გრეული, რომ კარის სიგანის ზუსტი ზომის დადგენა ვერ ხერხდება (ტაბ. 13). ეკლესიას შესასვლელი შეიძლება დასავლეთიდანაც ჰქონდა. დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია სხვებზე მოზრდილი და შედარებით უკეთ დამუშავებული ქვა, რომელიც შესაძლოა ზღურბლის ქვა იყოს (ტაბ. 16). სამწუხაროდ, კედლის ეს ნაწილიც ისეა დაზიანებული, რომ კარის სიგანის დაფიქსირება აქაც ვერ ხერხდება.

ეკლესიის იატაკი მოგებული ყოფილა კლდის ფლეთილი ფილებითა და კირხსნარით. იატაკი კარგად არის შემორჩენილი მხოლოდ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში 1,80x1,60 მეტრ ფართობზე (ტაბ. 13).

ნახევარნრიული საკურთხეველი ჩანერილია ეკლესიის სწორკუთხა გეგმაში (ტაბ. 14).¹⁴ საკურთხევლის კირხსნარით ნაგები არდაგანის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი 2,10 მეტრ სიგრძეზე. არდაგანი საკურთხევლის შუა ნაწილამდე გრძელდება და შემდეგ წყდება (ტაბ. 14-2). ეჭვი არაა, რომ მისი დანარჩენი ნაწილი საგანგებოდ არის მონგრეული მას შემდეგ, რაც ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა. საკურთხეველში მისი სამხრეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებული სამი პატარა ქვევრი. ისინი მიწაში ჩაუკირავად ჩაერგათ (ტაბ. 15-2). ქვევრების პირზე ჯერ კიდევ სველ თიხაზე ამოეკანრათ სამ-სამი ჯვარი. ქვევრები ამ ადგილას უნდა ჩაერგათ მოვიანებით, როცა ეკლესიას თავისი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ არდაგანის სამხრეთი ნაწილის არსებობის შემთხვევაში ის ზედ ქვევრებზე გადაივლიდა (ტაბ. 15, 76). ამდენად, შეუძლებელია, რომ ეკლესიაში ქვევრებსა და საკურთხევლის არდაგანს თანა-დროულად ეარსება. იმის გამო, რომ ეკლესიის

12 გათხრებამდე ეკლესიის ფართობი განისაზღვრებოდა 5,50x3,50 მეტრით [მამულაძე შ. 1993:51].

13 სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე [მამულაძე შ. 1993:51]. ცოკოლის ორი საფეხური მხოლოდ ეკლესიის სამხრეთი კედლის მცირე მონაკვეთზე, შესასვლელთან შეიმჩნევა. დანარჩენ ადგილებში ის ყველგან ერთსაფეხურიანია.

14 განძის მაძიებლებს თავის დროზე საკურთხევლის მთელი ფართობი მოეთხარათ დაახლოებით ერთ მეტრ სიღრმეზე. მათივე „ნამოღვანარის“ შედეგია ის, რომ ქვევრები დამსხვრეული დაგვხვდა. ქვევრების ცალკეული ნატეხები ეკლესიის მთელ ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული.



ინტერიერში ნიადაგი კლდოვანია, ხოლო ქვევრების ჩასადგმელად ბუნებრივი ღრმული მხოლოდ საკურთხეველში იყო, სწორედ ეს ადგილი გამოუყენებიათ ქვევრებისათვის. ხოლო, რადგანაც ქვევრების გამართვას საკურთხევლის სამხრეთი ნაწილის არდაგანი უშლიდა ხელს, ამიტომ ის მოუნგრევიათ.

ეკლესიას არა აქვს პილასტრები. როგორც ჩანს, გადახურვის კამარა უშუალოდ ეყრდნობოდა გვერდით კედლებს. კედლებზე არ შეიმჩნევა რაიმე ორნამენტი. არც გათხრების დროს აღმოჩენილა ორნამენტიანი ქვები, სარკმლის დამუშავებული თავსართები, კარნიზები თუ სხვ. ეტყობა ეკლესის ფასადი არ გამოირჩეოდა მრავალფეროვანი მორთულობით (ტაბ. 16-18).

ეკლესიაზე კირხსნარის შელესილობის ან მოხატულობის რაიმე კვალი არ შეინიშნება. შელესილობისა თუ მოხატულობის ფრაგმენტები არც გათხრების დროს აღმოჩენილა. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ ეკლესია თავის დროზე შელესილ-მოხატული იყო.

ეკლესის დასავლეთით მიმდებარე ქვაბულის თხრისას აღმოჩნდა ლორფინი (ტაბ. 153). ჩანს, ნაგებობა ლორფინით ყოფილა დახურული. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ლორფინები მრავლად გამოუყენებიათ გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობების მშენებლობის დროს.

შუა საუკუნეების აჭარისწყლის აუზისათვის ძირითადად დამახასიათებელია მარტივი გეგმის დარბაზული ტიპის ეკლესიები — სხალთა, ვერნები, თიკანაური, კალოთა, ვანაძები, საციხური. სამეკლესიანი ბაზილიკა ჯერჯერობით მხოლოდ თხილვანიდანაა ცნობილი [მამულაძე შ. 1993: 100]. ხიხანის ციხის ეკლესიაც დარბაზულ ეკლესიათა ჯვეუფს მიეკუთვნება. აჭარაში დარბაზული ტიპის ეკლესიათა პოპულარობაზე თვით ტბელი აბუსერისძე მიუთითებდა თავის თხილებაში — „აღეშენეს ეკლესიანი, ერთე-

კლესიად წოდებული“-ო [აბუსერისძე ტბელი 1941:55; მამულაძე შ. 1993:168]. როგორც იმავე თხილებიდან ირკვევა, ხიხანის ციხის ეკლესის ამშენებელი თავად ტბელი აბუსერისძე უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვები — „წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაი ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესისაი“ [აბუსერისძე ტბელი 1941:66].

ტბელ აბუსერისძეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგება თავისი უფროსი ძმების აბუსერისა და ვარდანის ბრძანებით დაუწყია. ავტორი აღნიშნავდა, რომ ძველი ეკლესიის¹⁵ სიმცირის გამო მასში მრევლი უკვე ვეღარ ეტეოდა და ამ მიზეზმა განაპირობა ახალი ეკლესიის მშენებლობა — „და მაიძულა ეკლესიისა მცირაპითა ერისა ვერ დატევნამან და ჯარვისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლოლევანებამან. და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო. და ამისათვის ხელვყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულქმნაი მანვე ახოვანმა მოგუანიჭოს“ [აბუსერისძე ტბელი 1941:67]. ეკლესიის აგება მრევლს საკმაოდ გასჭირვებია. ყველაზე დიდი სირთულეები კი სოფელ ბაკოს მცხოვრებლებს გადაუტანიათ. „მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაბრ, დიდი ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუებითა ხელვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაი“ — წერდა ტბელი აბუსერისძე [აბუსერისძე ტბელი 1941:67].

ლ. მუსხელიშვილის აზრით, თხილება დაწერილი უნდა იყოს 1231-1235 წლებს შორის. ამდენად, ეკლესიაც, რომლის მშენებლობის შესახებ ტბელი აბუსერისძე მოგვითხრობს, უნდა დათარიღდეს XIII საუკუნის 30-იანი წლებით [აბუსერისძე ტბელი 1941:67; მამულაძე შ. 1993:117].

IV. გვირებული შუა საუკუნეების განათხარი ნაგებობები

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობების უმრავლესობა არქეოლოგიურად შესწავლილია. სამი ნაგებობა გალავნის კედელზეა მიშენებული. მათგან ორი გეგმით კვადრატულია, ერთი — ოვალური. დანარჩენი ნაგებობები ცალკე მდგრმი კვადრატული გეგმის შენობებია. ფუნქციურად აღნიშნული ნაგებობები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. დამხმარე შენობები გამათბობელი საშუალებების გარეშე და II. ბუხრიანი შენობები. პირველი ჯგუფის ნაგებობა ექვსია.

1. ციხის ცენტრალურ ნაწილში არსებული ჭიდან დასავლეთით, 1 მეტრის დაშორებით მდებარეობს გალავანზე მიშენებული ოვალურკედლიანი ნაგებობა (ფართობი 5x3,40 მ), რომელიც 2015 წელს გაითხარა (ტაბ. 42). შენობას შესასვლელი აქვს ჩრდილოეთ მხარეს (ტაბ. 42₁). გალავანზე მიშენებული მშრალი წყობით ნაგები კედელი 1,60 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კარიდან შენობის კედელი ოვალურად მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გალავანს ებმის (ტაბ. 42₂, 72₁₂, 77). შენობის იატაკი მინატკეპნილია (ტაბ. 43₁). მშრალი წყობით ნაშენ კედელთან აღმოჩნდა ერთ ადგილას თავმოყრილი ზარბაზნის 166 ჭურვი (ტაბ. 43₂). ჭურვები სამი სხვადასხვა კალიბრისაა (ტაბ. 43₃). ჭურვები შემორჩენილი უნდა იყოს 1815 წლიდან, როდესაც გაიმართა ბრძოლა ხიხანის ციხეში გამაგრებულ სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის ძალებსა და ბაბა ფაშა ფეხლევანის ჯარს შორის. ჩანს, სელიმ-ბეგის დატყვევებისა და მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ, ნაგებობაში არსებულ საბრძოლო მასალას ველარავინ მიხედა და ის განიმარხა.

2. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ზღუდის კედელზე მიშენებული იყო ნაგებობა, რომელიც 2016 წელს იქნა შესწავლილი (ტაბ. 62, 72₁₃). 2,35x2,40 მეტრი ფართობის მქონე შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედელს წარმოადგენს გალავანი, რომელიც ამ მონაკვეთში 6 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი (ტაბ. 62, 82₃).

ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი მშრალი წყობით არის ნაშენი. კედლის გარეპირი უსწორმასწოროა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენობა ამ მხარეს მიწური იყო. ნაგებობის ეს კედელი ფაქტობრივად ტერასის შემაკავებელი კედელია, რომელიც ზღუდიდან იწყება და ეკლესიის დასავლეთით მდებარე ბაქნისაკენ მიემართება 5,40 მეტრ სიგრძეზე (ტაბ. 82₁). ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი მიდგმულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე, რომელიც როგორც უკვე ითქვა, ტერასის შემაკავებელი კედელიც არის (ტაბ. 82₂).

ნაგებობას შესასვლელი ჰქონია სამხრეთ-დასავლეთ კედელში. ის თითქმის ძირამდეა დანგრეული (ტაბ. 62₂, 82₁). იატაკი მინატკეპნილია. გათხრებისას ქვა-ლორლის სქელ ფენაში აღმოჩნდა გვიანდელი შუა საუკუნეების კრამიტის რამდენიმე მცირე ფრაგმენტი. თუმცა, საეჭვოა ნაგებობა კრამიტით ყოფილიყო დაბურული. ისინი აქ შემთხვევით ჩანან მოხვედრილი სხვა გვიანდელი ნაგებობებიდან.

3. ციტადელის ტერიტორიაზე №2 კოშკა და 43 ქვევრიან მარანს შორის არსებულ ჩაღრმავებულ ნაწილში 2017 წელს გაითხარა კვადრატული გეგმარების (ფართობი 4,80x4,50 მ) მიწური ნაგებობა, რომლის კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით. წყობა მშრალია (ტაბ. 66₁, 72₁₄, 85₁). ნაგებობის კედლების შემორჩენილი სიმაღლე 2,20 მეტრია. შენობის აღმოსავლეთი კედელი მთლიანად მინაშია გამართული. კედლის წყობა ინტერიერის მხარეს წესიერია, ექსტერიერის მხარეს — არანქესიერი. კედლების ამგვარად აგება ციხის ყველა მიწური ნაგებობისათვის არის დამახასიათებლი [მინდორაშვილი დ. 2017:ტაბ. XX-XXVIII]. თითქმის მთლიანად არის დანგრეული შენობის დასავლეთი კედელი, რომლის ცენტრალურ ნაწილში კარი ყოფილა გამართული. შენობის იატაკი მინატკეპნილი და კლდოვანი მასივია. მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის

კვალი. ნაგებობის ფუნქცია გაურკვეველია. ნაგებობა თავისი მშენებლობის წესით, ხასიათითა და ხერხებით, აგრეთვე მასში აღმოჩენილი არტიფაქტებით — დოქი, ჯამი, ჩიბუხი და სხვ. (ტაბ. 70₈, 71₃, 94₁, 97₁₄), გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

4. სასახლიდან სამხრეთ-დასავლეთით 21 მეტრის დაშორებით მდებარე ქვაბულში 2017 წელს გაითხარა ტრაპეციისებური გეგმარების პატარა მიწური ნაგებობა (ტაბ. 66₂, 67₁, 72₁₅, 85₂). შენობის აღმოსავლეთი კედელი, რომლის სავარაუდო სიმაღლე დაახლოებით 2,20 მეტრია, მიშენებულია კლდის მასივზე (ტაბ. 85₂). კედლები ნაგებია საშუალო და მომცრო ზომის კლდის ფლეთილი ქვებით. წყობა მშრალია. კლდის მასივში, რომელზეც კედელია მიღებული, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, იატაკის დონიდან 1,20 მეტრ სიმაღლეზე შემორჩენილია პატარა ფოსო, რომელშიც შესაძლოა ხის ბოძი იყო გამაგრებული (ტაბ. 67₁). ნაგებობაში შესავლელი შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში უნდა ყოფილიყო (ტაბ. 85₂). შენობის გათხრებისას აღმოჩენდა გვიანდელი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის რამდენიმე უსახური ფრაგმენტი. რაც შეეხება შენობის ფუნქციას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. თუმცა, სხვა რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდა განათხარ ნაგებობას, ამის გარკვევა რთულია.

5. სასახლის დასავლეთით, სასახლესა და №3 კოშკს შორის არსებულ ხელოვნურ დავაკებაზე 2017 წელს გაითხარა ნაგებობის ნაშთი, რომლის შემორჩენილი ფართობია 4x3,70 მეტრი (ტაბ. 67₂, 72₁₆, 85₃). შენობა დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მისი სამხრეთი კედელი მთლიანად არის დანგრეული. იატაკი მიწატკეპნილია. კედლები ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით. წყობა მშრალია. სავარაუდოდ, შესასვლელი ნაგებობას სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა.

შენობის გათხრებისას, იატაკის დონეზე აღმოჩნდა კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი — კეცი, სამარილე და დოქის გვერდის ნატეხი (ტაბ. 97₁₇). კერამიკული ნაწარმი თავისი იერსახით გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

6. გვიანდელ შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ სასახლის დასავლეთი მინაშენი თავისი „შემაღლება-ტახტით“. გვიანდელი სათავსის დასავლეთ კედლად გამოუყენებიათ სასახლის კედლების მოზრდილი ნანგრევები (ტაბ. 26-27, 72₁₇). სათავსის დანარჩენი კედლები აღარ არის შემორჩენილი. არ არის გამორიცხული, სათავსში შესასვლელად სასახლის კუთვნილი დასავლეთი კარი ყოფილიყო გამოყენებული.

გვიანდელი შუა საუკუნეების შენობათა II ჯგუფს შეადგენს ბუხრიანი ნაგებობები. ციხის ტერიტორიაზე რვა ასეთი შენობა არის გამოვლენილი და არქეოლოგიურად შესწავლილი.¹⁶

1. როგორც უკვე აღინიშნა, სასახლის გათხრებამდეც ჩანდა, რომ ის შემდგომში კვლავ გამოუყენებიათ საცხოვრებლად. მაგრამ აუთვისებიათ არა სასახლის მთელი ფართობი, არამედ მხოლოდ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გაუმართავთ პატარა შენობა (ფართობი 5,60x4,70 მ) (ტაბ. 44, 72₁₈). ნაგებობა გაითხარა 2013 წელს. შენობის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები მიღებულია სასახლის კედლებზე (ტაბ. 74₂). მათი მაქსიმალური სიმაღლე 1,90 მეტრს აღწევს. მშრალად ნაგები კედლების წყობაში მეორადი გამოყენებით ჩართულია სასახლის კირხსნარისკვალიანი ქვები და ეკლესის ლორფინები (ტაბ. 46₁). აქედან გამომდინარე ცხადია, რომ გვიანდელი შენობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა აეგოთ ამ ადგილას, როცა სასახლე და ეკლესია უკვე დანგრეული იყო.

შენობას შესასვლელი აქვს სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. 46₂₋₃). აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში

¹⁶ სავარაუდოდ ბუხრიან ნაგებობათა ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს 1955 წელს ხ. ახვლედიანის მიერ გამოქვეყნებულ ციხის გენგეგმაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დატანილი ერთი ნაგებობა (ტაბ. 72₂₆), რომლის კვალი სადღეისოდ აღარ ჩანს.

ბუხარია. ბუხრის ზედა საპირე ქვა ნაწილობრივ არის გათლილი და ოვალური მოყვანილობა აქვს (ტაბ. 47). ბუხრის სამხრეთით, იატაკიდან 1,30 მეტრ სიმაღლეზე შემორჩენილია პატარა თახჩის ნაშთი. შენობის დასავლეთი კედლის ფასადი არაწესიერადაა ნაწყობი. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როცა კედელი გარედან მიწით არის დაფარული და უხილავია.¹⁷ იატაკზე აქა-იქ შემორჩენილია კირხსნარის ნალესობა, რომელიც თავდაპირველი სასახლის დროინდელია (ტაბ. 45₂). ისე კი გვიანდელი შენობის იატაკი მიწატკეპნილია.

2. მეორე ნაგებობა სასახლის აღმოსავლეთ კედელზე გარედან იყო მიშენებული (ტაბ. 48, 72₁₉). შენობა შესწავლილ იქნა 2013 წელს. ის გეგმით კვადრატულია (ფართობი 4,10x3,40 მ). 1,60 მეტრ სიმაღლეზე შემორჩენილ მშრალად ნაგებ კედლებში ჩართულია სასახლის კირხსნარისკვალიანი ქვები და ეკლესიის ლორფინები. ნაგებობის კარი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ კუთხეშია (ტაბ. 49₁, 74₂). შენობის აღმოსავლეთი კედლის ცენტრში ბუხარია გამართული. ბუხრის თავსართი ქვა გათლილია და მას თაღოვანი მოყვანილობა აქვს (ტაბ. 49₂). ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში იატაკიდან 1,45 მეტრ სიმაღლეზე თახჩაა (ტაბ. 49₃). იატაკი მიწატკეპნილია.

3. ნაგებობა მდებარეობს №1-2 კოშკს შორის, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მკვეთრად და-ქანებულ ფერდობზე, საგანგებოდ მოჭრილ და მოსწორებულ ტერასაზე. შენობა გაითხარა 2014 წელს. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია (ტაბ. 50, 72₂₀, 78). დასავლეთის კედელი მიდგმულია კლდოვან ფერდობზე. გეგმაში კვადრატულია (ფართობი 4,20x4,30 მ). კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,90 მეტრია. ჩრდილოეთი კედლის გარეპირი დამატებით არის გამაგრებული კლდის ნატეხი ქვით, რის გამოც კედლის ამ ნაწილის სისქე 1,40 მეტრს აღნევს. იატაკი მიწატკეპნილია (ტაბ.

51). ნაგებობის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კედლების გარეპირი უსწორმასწოროდ არის ნაგები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული კედლები თავიდანვე მიწაში იყო ჩადგმული. აღმოსავლეთის კედელი კი საფასადე მხრიდან სწორად არის ამოყვანილი. კედლის შუა ნაწილში გამოვლინდა შესასვლელის ღიობი, რომელიც როგორც ჩანს, მოგვიანებით ამოუქოლავთ და ნაგებობისათვის შესასვლელი სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაუკეთებიათ (ტაბ. 52₂, 78).

შენობის დასავლეთი კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი (ტაბ. 52₁), რომლის თაღოვანი თავსართი ქვა იქვე, ბუხართან აღმოჩნდა (ტაბ. 78). ბუხრის ზურგის კედელი დანგრეულია. გვერდითი კედლები თლილი ქვით, ხოლო გარეპირი დიდორნი, კლდის ნატეხი ქვითაა ამოყვანილი. წყობა მშრალია.

ნაგებობის ინტერიერში წარმოქმნილ ქვა-ლორლის ფენაში ჩნდებოდა ლორფინის ნატეხები, რომელთაც აქ მეორადი გამოყენება ჰქონდათ და როგორც ჩანს, ისინი ეკლესიიდან იყო მოტანილი. კერამიკული ნაწარმიდან გვხვდება: „თოკისებრი“ ორნამენტით შემკული კეცები; დოქები, რომელთა შორის ზოგიერთი მოხატულია; მოჭიქული და სადა ჯამები; რკინის ნალები (ტაბ. 71₉). არქეოლოგიური მასალა გვიანდელი შუა საუკუნეებისაა.

4. ნაგებობა აღმოჩნდა 2014 წელს ციხის №1 და №2 კოშკს შორის არსებული გვიანდელი შუა საუკუნეების ბუხრიანი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით 7,20 მეტრის დაშორებით, ციხის საკმაოდ დაქანებულ ფერდობზე. ნაგებობა გაითხარა 2015 წელს. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ნახევრად მიწური შენობა კლდის ფლეთილი ქვებით არის ნაგები. წყობა მშრალია, გეგმა — კვადრატული (ფართობი 3,60x3,50 მ) (ტაბ. 53, 72₂₁, 79). მისი დასავლეთი კედლის ზურგი მთლიანად მიწაში ყოფილა ჩამჯდარი. კედლის შემორჩენილი სიმაღლეა 1,80 მეტრი.

¹⁷ რაც შეეხება შენობის ჩრდილოეთ კედელს, მისი ცენტრალური ნაწილი ჯერ კიდევ გათხრებამდე იყო მორღვეული.

კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი, რომელიც საკმაოდ დაზიანებული სახით არის შემორჩენილი. ბუხარი კედლის სიღრმეშია ჩა-შენებული (ტაბ. 53₂, 56₁). ის თავის დროზე ოდნავ თაღოვანი თავსართი ქვით მთავრდებოდა (ტაბ. 56₅₋₆).

ნაგებობის სამხრეთი კედელი ნახევრად იყო მინაში ჩადგმული (ტაბ. 54₁). ნაგებობის დასავლეთი და სამხრეთი კედელი ერთმანეთთან შეერთებისას ბლაგვ კუთხეს ქმნიან, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მშენებლებს ამ ორი კედლის გადაბმისას გამოუყენებიათ კლდის ბუნებრივი მასიური შვერილები და მათზე ამოუყვანიათ ნაგებობის კუთხე (ტაბ. 56₂). სამხრეთი კედლის შუა ნაწილში იატაკის დონიდან 0,90 მეტრ სიმაღლეზე თახჩა (ტაბ. 54₂).

ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის წყობაში ჩართული იყო ლორფინის ერთი მცირე ფრაგმენტი (ტაბ. 56₇). მსგავსი ლორფინები მრავლად გვხვდება ციხის გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობათა კედლებში მეორადი გამოყენებით [მინდორაშვილი დ. 2015: ტაბ. XXX].

ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი ყველაზე ცუდად არის შემორჩენილი (ტაბ. 55₂). შენობას შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. 53₁). შესასვლელის ერთი მოზრდილი, კარგად დამუშავებული ბრტყელი ქვა თავის ადგილზე აღარ დაგვხვდა. ის ქარაფის მხარეს იყო გადაქცეული. შენობის იატაკი მიწატკეპნილია. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან გამოვლინდა ვერტიკალურად ჩასობილი ხის ძელის ნაშთი. ძელი ნაგებობის მიტოვების შემდეგ, დროთა განმავლობაში ჩრდილოეთი მიმართულებით გადავარდნილა (ტაბ. 56₃). ძელის ფრაგმენტი დაფიქსირდა შენობის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილშიც (ტაბ. 56₄). ჩანს, ნაგებობის გადახურვა ეყრდნობოდა ხის სვეტებს. გათხრებისას სხვა არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. ნაგებობა თავისი გეგმარებით, სამშენებლო ტექნიკითა და სხვა ნიშნებით, იმეორებს ზემოთ აღწერილ გვიანდელი შუა საუკუნეების შენობებს.

5. 2016 წელს ექსპედიციამ შეისწავლა ნაგებობა (ფართობი 3,30x3,10 მ), რომელიც მდებარეობს ეკლესიის სამხრეთ კედელსა და გალავნის კედელს შორის (ტაბ. 63, 64, 65, 72₂₂). შენობის სამი კედელი მშრალი წყობით არის ნაგები. რაც შეეხება ნაგებობის მეოთხე — სამხრეთის კედელს, ის ზღუდის კირხსნარით ნაშენი კედელია. ამ ადგილას კედელი 5 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი (ტაბ. 63₂, 84₁). კედელში იატაკის დონიდან 2,20 მეტრ სიმაღლეზე სამი საკოჭე ღრმულია (ტაბ. 84₁). მასზე გადებულ კოჭებს ეკავა ნაგებობის სახურავი. ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის თავზე, იქ სადაც შესასვლელი უნდა ყოფილიყო, იატაკის დონიდან 1,70 მეტრ სიმაღლეზე, ციტადელის კედელში გაუკეთებიათ ღრმული, რომელიც საკოჭე ღრმულებზე 35 სანტიმეტრით დაბლაა. მასში კარის თავზე გადებული ძელები უნდა დამაგრებულიყო (ტაბ. 84₁).

ნაგებობის დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 2,20 მეტრია (ტაბ. 64₁, 84₂). კედელთან იატაკის დონეზე აღმოჩენდა ხის ძელის მცირეოდენი ნაშთები. დასავლეთი კედლის სიმაღლეზეა შემორჩენილი ნაგებობის აღმოსავლეთი კედელიც. მის სამხრეთ ნაწილში, ზღუდის კედელთან უნდა ყოფილიყო შენობაში შესასვლელი, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია (ტაბ. 64₂). მთლიანად მიწურია ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი, რომლის აშენების დროს დაუნგრევიათ ეკლესიის სუბსტრუქციის სამხრეთი ნაწილი. კედელი, რომლის სიმაღლე 2,20 მეტრია, ორად არის გაყოფილი (ტაბ. 65₁, 83₂). კედლის დასავლეთი მხარეს მოწყობილია ბუხარი, რომლის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად ჩადგმული გათლილი ქვებით არის შედგენილი 0,80 მეტრ სიმაღლემდე. ამის შემდეგ, შედარებით მომცრო ქვებით გამოყვანილია თაღი (ტაბ. 65₂, 83₂). თაღი ბოლოვდებოდა ოვალურად გამოთლილი ქვით, რომელიც ამავე ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენდა (ტაბ. 65₄). ამავე კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ბუხრის გვერდზე, გამართულია მოზრდილი თახჩა, რომელიც ბუხრის მსგავსად კედლიდან გარეთ არის გამოწვეული. თახჩის

ქვედა ნაწილი კარგად გათლილი ქვების სამი რიგითაა ამოყვანილი იატაკიდან 0,70 მეტრ სი-მაღლეზე. თახჩის სიმაღლე სავარაუდოდ 1,30-1,40 მეტრი უნდა ყოფილიყო (ტაბ. 65₃, 83₂). აღსანიშნავია, რომ ამ ნახევრად მიწური ნაგებობის კედლების დიდი ნაწილი ნაშენია კარგად გათლილი მოზრდილი ქვებით (ტაბ. 65₁₋₃), რომლებიც უეჭველად ეკლესის კედლებიდან არის აღებული და მეორადად გამოყენებული.

შენობის გათხრებისას ქვა-ლორდიან ფენაში აღმოჩნდა ლარიანი კრამიტის ნატეხები. ბუ-ხართან ნახშირნარევი იატაკის დონეზე დაფიქ-სირდა კეცის ნატეხი. არტეფაქტები გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს ჩაჭრილი აქვს XIII საუკუნის 30-იანი წლების ეკლესის სუბსტრუქციის სამხრეთი ნაწილი. ამასთან, ნაგებობის მშენებლობაში ეკლესის ქვებია გამოყენებული. ეს გარემოება კი იმის დასტურია, რომ ნაგებობა შეიძლებოდა აქ გაემართათ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეკლესია უკვე დანგრეული იყო ანუ გვიანდელი შუა საუკუნეების მოგვიანო ეტაპზე. ნაგებობის გვიანდელობაზე მიუთითებს ისიც რომ, შენობა თავისი გეგმარებით, ზომებით, მშენებლობის ტექნიკით თუ სხვა მონაცემებით, ფაქტობრივად იმეორებს ხიხანის ციხეზე გათხრილ გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა ბუხრიან ნაგებობებს. ამდენად, აღნიშნული შენობაც გვიანდელ, კერძოდ XVII-XVIII საუკუნეების ნაგებობათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ.

6. 2014 წელს გაითხარა ნაგებობა, რომელიც მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ, მკვე-თრად დაქანებულ ფერდობზე, №2 კოშკიდან სამხრეთით 50 მეტრის დაშორებით. გათხრების დაწყებამდე მიწის ზედაპირზე ჩანდა მხოლოდ მისი აღმოსავლეთი კედელი ბუხრითურთ და კუთხეების უმნიშვნელო ნაწილები. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ნაგებობა აშენებული ყოფილა ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე. ოთხივე კედელი სხვადასხვა დონეზეა შენარჩუნებული. შენობა (ფართობი 3,20x3,45 მ) ნა-

გებია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია, იატაკი — მიწატკეპნილი. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები ზურგით ფერდობზეა მიდგმული (ტაბ. 57, 72₂₃, 80₁). აღნიშნული კედლების გარეპირები უსწორმასწოროა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შენობა ნახევრად მიწური ყოფილა. ნაგებობას შესასვლელი სავარაუდოდ დასავლეთი მხრიდან უნდა ჰქონოდა. ყველაზე უკეთ შემორჩენილია აღმოსავლეთი კედელი, რომლის შუა ნაწილშიც ბუხარია მოწყობილი (ტაბ. 58₂). ბუხარს მოგრძო, თაღოვანი თავსართი აქვს. გვერდითი კედლები კი დიდრონი კლდის ნატეხი ქვებისაა. ბუხრის ჩრდილოეთით, იატაკიდან 1 მეტრ სიმაღლეზე კედელში მოწყობილია ორი მცირე ზომის სწორკუთხა თახჩა (ტაბ. 58₂, 80₁). შენობის თხრისას არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. თავისი იერსახით, მშენებლობის ტექნიკით და სხვა ნიშნებით შენობა გვიანდელ ნაგებობათა ჯგუფს მიეკუთვნება.

7. ციხის ცენტრალურ ნაწილში 43 ქვევრიანი მარნის თავზე, მარნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 2015 წელს გაითხარა მშრალი წყობით ნაგები ბუხრიანი შენობის ნაგრევები. შენობა ძლიერ იყო დაზიანებული (ტაბ. 59₁₋₂, 72₂₄, 80₂₋₃). ნაგებობის ფართობი 4,10x3 მეტრია. შენობის კედელთან ბუხრის ნაშთებია (ტაბ. 59₁₋₂). იქვე, კუთხესთან ეგდო თაღისებურად გათლილი ბუხრის თავსართი ქვა. კედლის გარე ნაწილი მინაში იყო მოქცეული. ამდენად, აღნერილი ნაგებობაც ნახევრად მიწური ყოფილა (ტაბ. 80₂). ნაგებობის იატაკი მიწატკეპნილია. შენობის იატაკის დონეზე არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა. შენობის იერსახე და მშენებლობის ტექნიკა მის გვიანდელობაზე მეტყველებს.

8. ნაგებობა მდებარეობს №4 კოშკიდან და-სავლეთით, 50 მეტრის დაშორებით. გაითხარა 2014 წელს. ციხის ფერდობის ნაწილობრივ მოსწორებულ ტერასაზე ამოღებულია ქვაბული, რომელშიც შენობის (ფართობი 3,80x3,30 მ) ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებია აგებული (ტაბ. 60, 61, 72₂₅, 81). ნაშენია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია. შესა-

სვლელი აქვს დასავლეთ კედელში. ჩრდილოეთი კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი, რომლის გვერდითი და ზურგის კედლები კლდის ნატეხი ქვებით არის ამოყვანილი. თავსართად მოგრძო კლდის ქვაა გამოყენებული (ტაბ. 60₂). ბუხრიდან აღმოსავლეთით, კედელში სწორკუთხა თახჩა მოწყობილი.

ნაგებობის ინტერიერში ნანგრევი ქვა-ლორდის ფენა იყო წარმოქმნილი. მასში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. განმენდის შემდეგ გაირკვა, რომ ნაგებობის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები დაშენებულია კლდის ბუნებრივ ძარღვზე, რომელიც მიწატკეპნილი იატაკის დონეზე 0,30-0,50 მეტრით ზემოთაა, ხოლო ნაგებობის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები იატაკის დონიდანვე კლდის ნატეხი ქვით არის ამოყვანილი. შენობის აღმოსავლეთი კედელი ზურგით ყოფილა მიდგმული კლდოვან ფერდზე. თუმცა, ამჟამად იგი თითქმის მთლიანად არის დანგრეული.

ციხის ძველ გენგეგმაზე ეს ნაგებობა დატანილი იყო როგორც სწორკუთხა შენობა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მართ კუთხეს ქმნის მხოლოდ მისი სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები (მათთან ერთად ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხეც) ნახევარ-

წრიული მოხაზულობისაა (ტაბ. 81). სავარაუდოდ, როგორც ეს შენობა, ისე ყველა სხვა დანარჩენი ბუხრიანი ნაგებობა ყავრით უნდა ყოფილიყო დახურული.

ზემოთ აღნერილ რვა ნაგებობას აერთიანებს შემდეგი ნიშნები: 1. ისინი საკმაოდ პატარა ფართობისაა (5,60x4,70; 4,10x3,40; 4,20x4,30; 3,30x3,50; 3,20x3,45, 3,80x3,30 მ) და მხოლოდ ერთი ოთახი-საგან შედგება; 2. ყველა ნახევრად მიწურია; 3. შენობები ნაგებია მშრალი წყობით; 4. ყველა მათგანში როგორც წესი, აუცილებლად გვხვდება ბუხარი. მაშინ, როცა ციხის უფრო ადრეული ხანის ნაგებობებში (მაგ. სასახლე) გამათბობელი საშუალებები (ბუხარი, კერა) საერთოდ არ ჩანს. ყველა შენობა ერთ პერიოდში — გვიანდელ შუა საუკუნეებში ჩანს აგებული. სავარაუდოდ მათი თარიღი XVII-XVIII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. რთულია ნაგებობების ფუნქციის გარკვევა. ისინი არ წარმოადგენ რაიმე დროებით, სეზონურ სადგომებს, ვინაიდან ყველა მათგანში ბუხარია გამოვლენილი. თავისი მცირე ფართობის გამო, შენობები ოჯახის საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ ეს მცირე ზომის ნაგებობები ციხის დანარჩენ ოთხ კოშკთან ერთად თურქ მეციხოვნეებს ეკავათ გვიანდელ შუა საუკუნეებში.

V. Ահվանագույշություն ասեած

ციხის გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა არ არის მრავალრიცხოვანი. მასალის უმეტესობა კერამიკული ნაწარმია, რომელთა შორის გამოირჩევა: სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. სამეურნეო კერამიკის ჯგუფში ერთიანდება ქვევრები. ისინი ძირითადად დიდი ზომის ჭურჭელია, თუმცა გვხვდება საშუალო და მცირე ზომის ნიმუშებიც (ჭაბ. 87, 88, 89₁₋₁₀).

Х сაუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის
დასაწყისს განეკუთვნება პირველ (43 ქვევრიან) მარანში გამოვლენილი ქვევრები (ტაბ. 34₂, 68₁₋₂, 87₂₋₃).¹⁸ აქ ძირითადად გვხვდება კვერცხისებურტანიანი საშუალო და მცირე ზომის ქვევრები, შედარებით დაბალი ყელითა და რამდენადმე დაგრძელებული ვიწრო ძირ-ქუსლით (ტაბ. 68₄, 88₁₀). დიდი ქვევრები ხასიათდება მაღალი, სწორკუთხა ან სამკუთხაგანივე ფორმით, პირით, ვიწრო ყელითა და მკვეთრად გამოხერილი მუცლით (ტაბ. 34₂₋₃, 68₃, 88_{6,8,11,12,14}). ზოგიერთი ქვევრი სადაა. ზოგს მხარზე შემოუყვება სადა ან ადგილ-ადგილ ჩაჭდეული რელიეფური სარტყელი (ტაბ. 34₃). რამდენიმე ქვევრი მთლიანად დაფარულია რელიეფური სარტყელებით და პირზე შემოუყვება თანაბარი ინტერვალით დაშორებული პატარა ნაჭდევები (ტაბ. 68₁, 87₃). ზოგჯერ ქვევრები შემკულია წრიულნაჭდევიანი რელიეფური სარტყელებით (ტაბ. 68₅₋₇).

28 ქვევრიან მარანში აღმოჩენილ ქვევრებს აქვს მასიური გვირგვინი, მომაღლო ვიწრო ყელი, გამობერილი მუცელი და პროფილირებული ძირი.¹⁹ ქვევრების ნაწილი შემკულია ყელს ქვემოთ დატანილი „თოკისებრი“ ორნამენტით

ან წრიულნაჭდევიანი რელიეფური სარტყელებით. ზოგჯერ სარტყელები სადაა (ტაბ. 41₁, 87₁₄). ქვევრების ნაწილი ორნამენტის გარეშეა. აღნიშნულ მარანში მიკვლეული ქვევრები XIII საუკუნით თარიღდება.

ციხის სხვადასხვა უბანზე გვხვდება რელიეფური სარტყელებით შემკული ქვევრების გვერდის ნატეხები, რომლებიც ზოგადად X-XIII საუკუნეებით შეიძლება დავათარიღოთ (ტაბ. 68₈₋₁₃).

გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ეკლესიის საკურთხეველში მიკვლეული ქვევრები, რომლებიც ხასიათდება ბრტყელი პირითა და დაბალი ყელით. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა, რამდენადმე დაგრძელებული. ძირი ვიწროა და ბრტყელი. ქვევრების პირზე ამოკაწრულია სამ-სამი ჯვარი (ტაბ. 68₁₄, 88₁₋₂).²⁰

ეკლესიის ინტერიერში, მითუმეტეს საკურ-
თხეველში ქვევრების გამართვა არ არის მიღე-
ბული წესი. მოუხედავად ამისა, აჭარისწყლის
აუზის ზოგიერთი ეკლესიის შიგნით ამგვარ
ფაქტებს მაინც ვხვდებით. კერძოდ, ქვევრები
აღმოჩენილია ვერნებისა და თხილვანას ეკლე-
სიებში [მამულაძე შ. 1993:84, 88-89]. ქვევრების
ეკლესიებში გამართვა უნდა მომხდარიყო მაშინ,
როცა ოსმალთა ბატონობის შედეგად ეკლესიები
თანდათან კარგავენ ფუნქციას. იგივე უნდა
ითქვას ხიხანის ეკლესიის საკურთხეველში მიკვ-
ლეული ქვევრების შესახებ. ზემოთაც აღინიშნა,
რომ საკურთხევლის სამხრეთი ნაწილის არდა-
განი მთლიანად მორღვეული დაგვხვდა. მისი
არსებობის შემთხვევაში კი არდაგანი ზედ ქვე-

18 იქ აღმოჩენილი ქვევრებიდან სრულად მხოლოდ სამი ქვევრის ზომის აღება მოხერხდა. მათგან ერთის სიმაღლე 1,10 მეტრია, პირის დიამეტრი 0,32 მეტრი, მუცლის დიამეტრი — 0,70 მეტრი (ტაბ. 68₁ 87₃); მეორეს სიმაღლე 1,05 მეტრს აღწევს, პირის დიამეტრი 0,26 მეტრია, მუცლის დიამეტრი — 0,75 მეტრი (ტაბ. 68₂ 87₂). რაც შექება მესამე ქვევრს, მისი სიმაღლე 1,20 მეტრია, პირის დიამეტრი 0,30 მეტრი, მუცლის დიამეტრი — 1,05 მეტრი (ტაბ. 34₂).

19 28 ქვევრიან მარანში ალმოჩენილი დიდი ქვევრების სიმაღლე 1,20-1,30 მეტრს აღწევს, მუცლის დიამეტრი 0,90-1,10 მეტრია. პატარა და მომცრო ზომის ქვევრების სიმაღლე 0,80-1 მეტრია, მუცლის დიამეტრი 0,60-0,75 მეტრის შორის მერყეობს.

20 ქვევრების სიმაღლე 0,95-1,10 მეტრია, პირის დიამეტრი 15 სანტიმეტრი, მუცლის დიამეტრი 0,45-0,50 მეტრი, ძირის დიამეტრი — 10 სანტიმეტრი.

ვრებზე გადაივლიდა (ტაბ. 15₁, 76). ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხიხანის ეკლესიის საკურთხეველში ქვევრები, რომლებიც საზედაშე ჭურჭელი უნდა იყოს, ჩნდება გვიანდელ შუა საუკუნეებში, როცა ეკლესია აღარ ფუნქციონირებდა.

სამზარეულო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება კეცები და ქოთნები. კეცებს აქვს მომრგვალებული პირი, დაბალი მხრები და სქელი კედლები. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცების ნაწილი სადა (ტაბ. 69₁₋₂, 90₁₋₆, 91₁₋₈). ნაწილი შემკულია კალთაზე „შემოვლებული „თოკისებრი“ ორნამენტით (ტაბ. 69₄₋₅, 90_{7,14,15,17}) ან შიდაპირზე ამოღარული წრეებით (ტაბ. 69₆₋₇, 90₈). ზოგიერთს დაძერწილი აქვს სახელური (ტაბ. 69₃, 90₁₈).

კეცები ხშირად ჩნდება როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლებზე. კარგად არის ისინი ცნობილი აჭარისწყლის აუზის განათხარი ძეგლებიდანაც — სხალთა, ვერნები, საციხეური, ვანაძეები და სხვ. [მამულაძე შ. 1993:135, ტაბ. 29₄₋₇]. აღმოჩენის ვითარების მიხედვით, ხიხანის ციხის კეცები გვიანდელი შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ქოთნებს აქვს სამკუთხაგანივეკეთიანი ან მომრგვალებული გაშლილი პირი (ტაბ. 69₈₋₁₆, 91₉₋₁₄, 92). ზოგიერთზე შემორჩენილია შესაკონიერბლად განკუთვნილი ნახვრეტები (ტაბ. 69₁₀). ბრტყელგანივეკეთიანი ყური მიერთებულია პირზე ან მხარზე (ტაბ. 69₁₁₋₁₆, 91₉₋₁₄, 92_{1-5,7,9}). გვხვდება ქოთნები, რომლებსაც ყურის ნაცვლად ნაჭდევებიანი სახელურები აქვს დაძერწილი (ტაბ. 91₁₅₋₁₇). ქოთნების ნაწილი შემკულია რელიეფური ან ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. გვხვდება „თოკისებრი“ სარტყელით შემკული ნიმუშებიც (ტაბ. 93_{5-9,11}). როგორც ყველა ცეცხლზე სადგამი ჭურჭლის თიხა, ქოთნების თიხაც „გამჭლევებულია“ მსხვილი მინარევებით. კეცების მსგავსად ქოთნებიც გვიანდელი შუა საუკუნეების არტეფაქტებია.

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია ჯამებით, დოქებითა და სასმისებით. ჯამები ხასიათდება ბრტყელი ან მომრგვალებული და მოყრილი პირით, ოვალური მხრებით, მაღალი კალთითა და დაბალი ბრტყელი ძირით (ტაბ. 69₁₇, 97_{15,19}). ზოგიერთი ჯამის ძირი შეღარულია, კოპიანი (ტაბ. 69₁₈, 97_{1,14,21,22}). ჯამებს შორის გვხვდება წერნაქით მოხატული ნიმუშებიც (ტაბ. 69₁₉, 97_{5,13,20}). ერთ-ერთი ჯამის შიდაპირი შემკულია ამოღარული წრეებით (ტაბ. 69₂₀). ჯამები დაბალქუსლიანია, თიხა — წვრილმარცვლოვანი. ზოგჯერ თიხაში შეიმჩნევა მსხვილი ჩანართები. მსგავსი ფორმის ჯამები მრავლად არის ცნობილი აჭარისწყლის შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [მამულაძე შ. 1993:132-134]. ჯამები XVII-XVIII საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჯამი დაკუთხული ძირით (ტაბ. 69₂₁, 97₁₆). დაკუთხულძირიანი ჯამები არ ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ კერამიკაში. მაშინ, როცა ჭოროხის აუზის შუა საუკუნეების ძეგლებზე მათი აღმოჩენის შემთხვევები სულ უფრო მატულობს. ანალოგიური დაკუთხულძირიანი ჯამები ცნობილია აჭარისწყლის აუზის რამდენიმე განათხარი ძეგლიდან — სხალთა, თიკანაური, კალოთა, საციხეური [მამულაძე შ. 1993:133-134, ტაბ. 12_{7,8}, 22_{12,13}, 28_{6,8}, 618; მამულაძე შ. 1998:34, 48, 67].²¹

დოქებს აქვს ფართო მრგვალი პირი (ტაბ. 70₁₋₂, 94₅₋₇). ზოგიერთს ყელზე შემოუყვება წიბო (ტაბ. 70₃, 94₅₋₇). გვხვდება სამტუჩა დოქებიც (ტაბ. 94). ცალკე გამოიყოფა დოქი ვიწრო ტუჩითა და მაღალი ყელით (ტაბ. 70₈, 94₁). ჭურჭლის ყურები მრგვალ ან ბრტყელგანივეკეთიანია. ზოგჯერ ყურები ნაჭდევებით არის შემკული (ტაბ. 70₅₋₆). სადა დოქების გარდა, გვხვდება წერნაქით მოხატული ნიმუშებიც (ტაბ. 70_{7,9-11}, 94₇, 95_{1-3,5-10}). დოქების ძირი შეზნექილია, ზოგჯერ ბრტყელი. ჭუსლი დაბალია, პროფილირებული (ტაბ. 70₁₂₋₁₃, 96). საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მოხატული დოქის ყურზე ამოკანრულია

²¹ ერთი ამგვარი დაკუთხულძირიანი ჯამი, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, აღმოჩენილია კუნძულ კვიპროსზე, ღალიას ქართული მონასტრის გათხრებისას [გაგოშიძე ი., მინდორაშვილი დ., გაგოშიძე გ. 2014:ტაბ. 63₁₄].

ნრეში მოქცეული ჯვარი (ტაბ. 70₇, 95₃). მეორე დოქტორის ძირზე ამოღარულია ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზი (ტაბ. 95₁₆). ზემოთ აღწერილი ყველა დოქტი გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობებიდან მომდინარეობენ.

სუფრის ჭურჭლის საინტერესო ჯგუფს შეადგენს მოჭიქული ჯამები. მათ შორის გვხვდება თეთრანგობიანი ჯამი, დაფარული უფერული კრიალა ჭიქურით (ტაბ. 70₁₄). ზოგიერთ ჯამს უფერული ჭიქური უშუალოდ შიშველ კეცზე აქვს გადავლებული (ტაბ. 70₁₅, 98₃). მწვანედ მოჭიქული ჯამების უმრავლესობა დაფარულია თეთრი ანგობით და შემკულია ნაჭდევებით, ამოღარული სარტყლებით, ნრებით, ტალღოვანი ხაზებით, მცენარეული ორნამენტით (ტაბ. 70₁₆₋₂₃, 98_{1,2,4-6,8-10}). ფორმებითა და შემკულობით ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების ნაწარმია. მწვანედ მოჭიქული ანალოგიური ჯამები ცნობილია: თბილისის არქეოლოგიური ძეგლებიდან — ნარიყალა [მინიშვილი 1974:194-195], ქარვასლა, სინაგოგა [მინდორაშვილი დ. 2009:24-25, ტაბ. XII_{25,27-29,44}, XXVII₈₋₉], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979:79], უფლისციხიდან [მინდორაშვილი დ. 2008:50, ტაბ. XIV₁₂₋₁₄, XV₂₅], ჯავახეთის ახალქალაქიდან [ჯანდიერი ე. 1978:ტაბ. X]. მწვანედ მოჭიქული ჯამები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გონიოს ციხის XVII-XVIII საუკუნეების ფენებში [ხალვაში მ. 2002:135, ტაბ. IV₁].

განათხარ მასალაში ფაიანსი სულ ორია. ერთი მათგანის თეთრი ფონი მოხატულია ცისფერი ზოლებითა და მწვანე ფერის მცენარეული ორნამენტით. მეორე ნიმუში ფაიანსის ცისფერი ჯამია (ტაბ. 70₂₄₋₂₅). ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების თურქული ნაწარმია.

პირადი მოხმარების ნივთებიდან აღსანიშნავია ჩიბუხები. ისინი წითლად არის შეღებილ-ნაპრიალები და შემკულია ნაჭდევი ორნამენტული სახეებით — ხაზებით, ხვიებით, ვარდულებით და სხვ. ერთ მათგანზე შტამპით არაბული წარწერაც არის აღბეჭდილი (ტაბ. 71₁₋₃, 97₂₇₋₂₉). ჩიბუხები ძალზე დამახასიათებელია გვიანდელი შუა საუკუნეების როგორც აღმო-

სავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისათვის. განსაკუთრებით მრავლად არის ისინი აღმოჩენილი იმ ადგილებში, სადაც თურქმა დამპყრობლებმა მეტ-ნაკლებად მოიკიდეს ფეხი. ჩიბუხები ცნობილია: თბილისიდან [არჩვაძე თ. 1978:119-129], ქუთაისიდან [ისაკაძე რ. 2006], ახალციხიდან [არჩვაძე თ. 1978:123], ჯავახეთის ახალქალაქიდან [ჯანდიერი ე. 1974: ტაბ. IV; ჯანდიერი ე. 1978: ტაბ. X], ციხისძირიდან [ინაიშვილი ნ. 1993:11], ბათუმის ციხიდან [კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. 1989:124-125, ტაბ. XLVII], გონიოდან და სხვ. [ჩხაიძე ლ. 1982:114-128].

სამშენებლო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება ღარიანი კრამიტები, რომელთა სიგრძე 39-40 სანტიმეტრს აღწევს (ტაბ. 71₄₋₅, 89₁₃₋₁₄). კრამიტები დამზადებულია მსხვილმინარევიანი უხეში თიხისაგან. ანალოგიური კრამიტები კარგად არის ცნობილი გონიოს ციხის გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებიდან. ჩანს, ხიხანის ციხის ზოგიერთი გვიანდელი ნაგებობა კრამიტით იყო დახურული. გვიანდელ შუა საუკუნეებში კრამიტით გადაუხურავთ ციხის განვითარებული შუა საუკუნეების კოშკებიც.

ქვის არტეფაქტებიდან აღსანიშნავია გათხრებისას მრავლად აღმოჩენილი ლორფინები. მათი დიდი ნაწილი დამტვრეულია. მხოლოდ ორიოდეა მთლიანი სახით შემორჩენილი (ტაბ. 71₆). არც ერთი ლორფინი უძრავ ფენაში არ აღმოჩენილა. ისინი მეორადი გამოყენებით ჩართული იყო გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობათა კედლებში.

სასახლის გათხრისას აღმოჩნდა დიდი ზომის შუაში გახვრეტილი მრგვალ-ბრტყელი ქვა (დიამეტრი 0,65 მ) (ტაბ. 71₇). არტეფაქტის ფუნქციის გარკვევა რთულია.

რკინის ნივთები წარმოდგენილია ნალებით (ტაბ. 71₉, 93₁₉). №4 კოშკში აღმოჩნდა დიდი ლურსმნები (ტაბ. 71₈, 93₂₀). ამავე კოშკში გამოვლინდა ასტამი — თონიდან თუ კეციდან პურის ასაფხევი ხელსაწყო (ტაბ. 71₁₀, 93₁₈). აღნერილი ნივთები ზოგადად გვიანდელ შუა საუ-

კუნებს განეკუთვნება. რკინის ნივთებს შორის გვხვდება ოვალურკედლიანი ნაგებობის გათხრებისას მიკვლეული ზარბაზნის ჭურვები. ასეთივე ჭურვები აღმოჩნდა ეკლესიასთან და 28 ქვევრიან მარანთან (ტაბ. 43₂, 71₁₁₋₁₃). როგორც უკვე აღინიშნა, ჭურვები ციხეზე შემორჩა 1815 წელს ხიხანის ციხეში გამაგრებულ სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის ძალებსა და სულთანის მიერ გამოგზავნილ ბაბა-ფაშა ფეხლევანის ჯარს შორის გამართული ბრძოლის შემდეგ.

მინის ნაწარმიდან გვხვდება ცისფერი მინის გრეხილი სამაჯური (ტაბ. 70₂₆, 97₃₀). სამაჯურს მრავალრიცხოვანი პარალელი ეძებნება XI-XIII საუკუნეებით დათარიღებულ მინის სამაჯურებს შორის [დოლაბერიძე რ. 1969:110-111]. ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს მომწვანო მინის სასმისის ძირის ფრაგმენტი (ტაბ. 70₂₇, 97₃₁). ორივე არტეფაქტი 43 ქვევრიანი მარნის გათხრებისას აღმოჩნდა.

* * *

2013-2017 წლებში ციხეზე ჩატარებული გათხრების შედეგად თითქმის სრული სახით იქნა წარმოჩენილი მინის ქვეშ მთლიანად ან ნაწილობრივ მოქცეული შენობები. გამოვლინდა მანამდე სრულიად უცნობი ნაგებობები, რომელთაგან აღსანიშნავია განვითარებული შუა საუკუნეების 43 ქვევრიანი მარანი და არანაკლებ საინტერესო გვიანდელი შუა საუკუნეების ზოგიერთი ბუხრიანი ნაგებობა. გათხრების შემდეგ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა ნაგებობათა არქიტექტურასა და სამშენებლო ხელოვნებაზე; დაზუსტდა შენობათა გეგმები და ზომები; შესწორდა ციხის გენგეგმა; დამუშავდა გათხრებისას მოპოვებული მრავალფეროვანი არტეფაქტები და სხვ. გათხრების შედეგად აღმოჩენილმა მასალამ რიგ შემთხვევაში სრულიად ახლებურად დასვა და გადაწყვიტა ხიხანის ციხის ისტორიის მანამდე ბურუსით მოცული საკითხები.

ხიხანის კლდოვან მთაზე ციხის პირველი ნაგებობები თუ უფრო ადრე არა, ²² უკვე X საუკუნეში ჩნდება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XI საუკუნის 40-იანი წლებისათვის ციხე თავისი ძირითადი ნაგებობებით უკვე ფუნქციონირებდა. ამის შესახებ გვაუწყებს როგორც წერილობითი წყარო, ისე ციხეზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა. 1046 წლისთვის ერთსათვის აბუსერი იხსენიება „ხიხათა პატრონად“ [ქც 1955:300₆₋₁₂]. რა თქმა უნდა „ხიხათის პატრონობაში“ წყარო გულისხმობდა არა ცარიელ ადგილს, არამედ ძლიერ ციხეს, რომელსაც მოიხსენიებდა ციხე-ქალაქ არტანუჯთან, ციხის-ჯვრთან და ანურის ციხესთან ერთად. ციხის განათხარი ნაგებობების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ხიხანი, რომლის საფუძვლის ჩაყრა X საუკუნეში უნდა დაწყებულიყო, XI საუკუნის 40-იან წლებში უკვე უმნიშვნელოვანესი სიმაგრე და აბუსერისძეთა საგვარეულოს რეზიდენციაა. ციხის ადრეულ ნაგებობათა ჯგუფს (X საუკუნე) მიეკუთვნება კოშკები, გალავნის კედლები. შემდგომ ეტაპზე, X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში შენდება სასახლე და 43 ქვევრიანი მარანი. XIII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღეს 28 ქვევრიანი მარანი. განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობებს შორის ყველაზე გვიანდელი ჩანს XIII საუკუნის 30-იანი წლების ეკლესია, რომლის მშენებლობას თვით ტბელი აბუსერისძე აღნერდა [აბუსერისძე ტბელი 1941:67]. მთელი განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე ციხის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესი არ შეწყვეტილა. ციხეზე ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა სწორედ ამ პერიოდშია აშენებული.

XIII საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, მონლოლთა შემოსევების გამო, საქართველოს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო ურთიელეს მდგომარეობაში ჩავარდა. უკეთეს პირობებში არც ხიხანის მფლობელი აბუსერისძი აღმოჩნდნენ.

²² 2018 წელს №2 კოშკის სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას, კოშკის ქვეშ გამოვლინდა ოვალურკედლიანი ნაგებობის ნაშთი (ტაბ. 72₁₁), რომელიც ბუნებრივია, კოშკზე რამდენადმე აღრეულია. თუმცა, ციხეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და ოვალურკედლიან ნაგებობაში მიკვლეული კერამიკა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

XIII-XIV საუკუნეების საბუთებში ისინი უკვე იშვიათად იხსენიებიან. აბუსერისძეთა საგვარეულო თანდათან კარგავდა ოდინდელ პოლიტიკურ გავლენებსა და ეკონომიკურ სიძლიერეს. ხიხანის განათხარი მასალის მიხედვით, **XIII** საუკუნის შემდგომ ციხეზე ინტენსიური ცხოვრების კვალი ნელ-ნელა ქრება. მართალია, ძველი ნაგებობები კვლავ განაგრძობენ ფუნქციონირებას, მაგრამ ახალმშენებლობის თვალსაზრისით **XIII** საუკუნის შემდეგ ციხეს მნიშვნელოვანი და საყურადღებო არაფერი შემატებია.

ქვეყნის რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო, რასაც თან ერთვოდა აბუსერისძეთა საგვარეულოს შემდგომი დაკინიების პროცესიც, ხიხანმა დაკარგა თავისი სტრატეგიული დანიშნულება. დროთა განმავლობაში ციხის მფლობელებმა ველარ უზრუნველყოფეს 28 ქვევრიანი მარნის შემდგომი ფუნქციონირება; რთული გახდა სასახლის მოვლა-პატრონობა და ა. შ. ციხის შენობები ნელ-ნელა ნანგრევებად იქცა.

XVII საუკუნეში ოსმალთა მიერ ზემო აჭარის დაპყრობისას, ციხის ტერიტორიაზე ფაქტობრივად აღარავინ ბინადრობდა. იმ პერიოდისათვის დანგრეული ჩანს სასახლე, მიტოვებულია 28 ქვევრიანი მარანი. ზემო აჭარაში ოსმალთა გაბატონების შემდეგ ეკლესიამაც თანდათან დაკარგა თავისი ფუნქცია. მიტოვებული ეკლესიის საკურთხეველში შემდგომში ადგილობრივ მოსახლეობას პატარა საზედაშე ქვევრები ჩაურგავს.

ციხის ტერიტორიის ხელმეორედ ათვისება **XVII-XVIII** საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ციხის სხვადასხვა უბანზე ჩნდება მცირე ზომის ბუხრიანი მიწური ნაგებობები. ყველა მათგანი მშრალად არის ნაშენი. კედლების მშენებლობაში გამოყენებულია განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის ლორფინები და იმავე პერიოდის ნაგებობათა კირხსნარიანი ქვები. ფართობით, გეგმარებით, მშენებლობის ტექნიკით, სამ-

